საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 ივნისი, 2014 წელი.

№121 (7502)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნალდად შედგა გარიგება?

5

3

„ნაციონალური მავნებლური“ პოლიტიკური ძალა

როცა ხალხი დუმს, მხოლოდ ჩინოვნიკური სიტყვა გაისმის

4

ყირიმული გაკვეთილები: ამერიკა საქართველოს ეხმარება, აფხაზეთი კი დაივიწყა

8

6-7

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში

როგორ განისაზღვრება ჩვენი ურთიერთობა ნატოსთან, ეს ჯერ აპაატურაიმაც არ იცის

2

მოსკოვს ქართველების არ სჯერა

10

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიანჩალიანი

აბაშიძე და კარასინი ერთმანეთს პრაღაში შეხვდებიან

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის გუშინ სატელეფონო საუბარი შედგა.

როგორც აბაშიძემ „ინტერპრესნიუსს„ განუცხადა, საუბარი შეეხო ორმხრივი დიალოგის ფორმატში მათ მორიგ შეხვედრას, რომელიც ივლისის პირველ ნახევარში ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართება.

— ჩვენ გვაქვს ჩვენი თემები, რაზეც ვსაუბრობთ. ეს თემები უმთავრესად დაკავშირებულია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან, სატრანსპორტო საკითხებთან, ჰუმანიტარულ საკითხებთან და სხვა პრაქტიკულ საკითხებთან, — აღნიშნა აბაშიძემ.

მისივე თქმით, სატელეფონო საუბარი შეეხო იმასაც, რომ აბაშიძე-კარასინს შორის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, ასევე პრაღაში გაიმართება ქართველ და რუს ექსპერტთა შეხვედრა. აბაშიძის ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე საუბარი ძირითადად შეეხება სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებს. პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი აცხადებს, რომ საუბარი იქნება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზეც.

როგორ განისაზღვრება ჩვენი ურთიერთობა ნატოსთან, ეს ჯერ აპატურაიმაც არ იცის

დარწმუნებული ვარ, რომ უელსის სამიტი გახდება საფუძველი ალიანსსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რა ორდენი იქნება ამ პროგრესის დასადასტურებლად, ამაზე იმსჯელებენ მინისტრები, — ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ ინტერვიუში განაცხადა, რითაც „როიტერის“ ინფორმაციას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ უელსის სამიტზე ნატოს წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსი მხოლოდ „გაძლიერებული თანამშრომლობის“ პაკეტზე შედგება.

მისივე განმარტებით, საკითხთან დაკავშირებით ალიანსი „ფინალურ მომენტამდე“ ჯერ არ მისულა.

— ჯერ ადრეა დასკვნებზე საუბარი, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრები უნდა შეიკრიბონ და იმსჯელონ. ჩვენ დავასრულეთ მუშაობა 4 ასპირანტი ქვეყნის შესახებ 4 ანგარიშზე — საქართველო ერთ-ერთია. ანგარიშები გავუგზავნეთ მინისტრებს. მათი მთავარი მიზანია აღწერა იმის, თუ როგორ მიდის თანამშრომლობა ამ სახელმწიფოებთან და რა პროგრესი გვაქვს. შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს შესახებ მომზადებული ანგარიში პოზიტიურია. ვინაიდან ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და არჩევნები კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც არ უნდა გადაწყდეს სამიტისთვის, ჩვენ ვნახავთ ნატოსა და საქართველოს შორის კავშირების გამყარებას, პაკეტი კი შეიძლება მოიცავდეს ბევრ ელემენტს. ამ ელემენტებს კიდევ განიხილავენ. საქართველო უნდა ელოდოს ალიანსისგან მეტ მხარდაჭერას, ნატოს გაზრდილ პერსონალს თქვენს ქვეყანაში, მეტ შესაძლებლობას მჭიდრო თანამშრომლობისთვის, — განაცხადა აპატურაიმ.

რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას, მისი განცხადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ „როიტერის“ ინფორმაცია სიმართლესთან ახლოსაა, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელის თქმით, სამიტამდე მხოლოდ ორი კვირით ადრე გახდება ცნობილი, თუ როგორ განისაზღვრება ალიანსსა და საქართველოს შორის შემდეგი თანამშრომლობა.

არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია მაშინ, თუ საქართველოში ყველაფერი წესრიგში იქნება

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმა გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ განაცხადა, სადაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ანგარიშის — „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციისთვის სამინისტროსა და ევროკავშირის თანამშრომლობის 4 თვის შედეგები“ პრეზენტაცია გამართა.

— ჩვენი სურვილია, რომ საქართველო დაუახლოვდეს ევროკავშირს იმ დონეზე, რომ მან პრაქტიკულად მიიღოს ყველა ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური თავისუფლებები, რის შესაძლებლობასაც ევროკავშირი იძლევა. ეს არის საქონლის გადაადგილების თავისუფლება, კაპიტალის თავისუფლება და სერვისები, რომელსაც თქვენ მიაღწევთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით. ასევე ყველაზე მთავარი რაც არის ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის — ეს არის ვიზის ლიბერალიზაცია, რომელიც არის საკმაოდ რთული საკითხი პროცედურული თვალსაზრისით, რადგან მას თან ახლავს ბევრი მოთხოვნა და ეს არის ასევე მნიშვნელოვანი წევრი ქვეყნებისთვის, რადგან არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია საქართველოს სიყვარულით, მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებებლია მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოში ყველაფერი იქნება წესრიგში. ვიზის ლიბერალიზაცია სწორედ ასეთი საკითხია, — განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

მისივე თქმით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო 2010 წელს, ასევე ხელმოწერილ იქნა ვიზის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულება.

ინტერპრესი

◎ მემორანდუმი

მეცნიერული აზრის გაუთვალისწინებლად არც ერთი დიდი პროექტი არ უნდა იგეგმებოდეს

გუშინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. როგორც ითქვა, ამ ურთიერთობის უკან ბევრი საინტერესო პროექტი დგას, რომელიც საქართველოს წინსვლას და პროგრესს შეუწყობს ხელს. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნოლოგიური ხასიათის თანამშრომლობას.

ირაკლი კოვზანაძე („საპარტნიორო ფონდის“ დირექტორი): გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში იყრის თავს. ეს ადამიანები განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ რესურსს, ამიტომ ამის გამოუყენებლობა შეცდომა იქნებოდა. გპირდებით, რომ ეს იქნება მრავალწლიანი ურთიერთობა. ჩვენ გამოვკვეთავთ პრიორიტეტულ სექტორებს; ესენია: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა... აუცილებლად გაკეთდება ერთობლივი კვლევები, თუ სად შეიძლება ჩაიდოს ფინანსები“.

„საპარტნიორო ფონდი“ 2011 წელს დაარსდა. სახელმწიფო ფლობს ფონდის 100 პროცენტს, რომლის აქტივები 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა“ და ნაწილობრივ „თელასის“ აქციები „საპარტნიორო ფონდის“ მფლობელობაშია. ეს არის ყველაზე დიდი კორპორაცია, რომელიც საქართველოში არსებობს.

ფონდი ამჟამად ახორციელებს გიგანტურ პროექტებს: გარდაბნის თბოელექტროსადგურის, ნესერას ელექტროსადგურის, მდინარე ენგურსა და ჭოროხს შორის შავი ზღვის პორტის მშენებლობებს. ფონდის სამოქმედო სფერო მოიცავს ტურიზმს, მშენებლობას, სამოქალაქო-საავიაციო მრეწველობას და სხვას.

გიორგი კვესიტაძე (მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი): — მემორანდუმის უკან ბევრი საინტერესო და საჭირო პროექტი დგას. ეს იქნება სრულიად ახალი მოძრაობა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საშუალებით. შეიცვალა ჩვენი აკადემიის მოქმედების ვექტორი და უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ტექნოლოგიებს. აქ უძლიერესი მეცნიერები მუშაობენ ქვეყნისთვის საჭირო სხვადასხვა სფეროში. ჩვენ რომ ეფექტიანად ვითანამშრომლებთ „საპარტნიორო ფონდთან“, ამაშიც ეჭვი არავის შეეპაროს.

თემურ ნანეიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი): — დროული და საჭირო მემორანდუმია. ყოვლად წარმოუდგენელია, არ იყენებდეს სახელმწიფო იმ პოტენციალს, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს. მეცნიერული აზრის გაუთვალისწინებლად არც ერთი დიდი პროექტი არ უნდა იგეგმებოდეს. მისასალმებელია, რომ ინიციატივა „საპარტნიორო ფონდიდან“ მოდის და ჩვენც დავეთანხმეთ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. არის უამრავი პროექტი. მაგალითად, ჩვენთან მუშავდება პროექტი შავი ზღვის პორტის გეოლოგიური საფუძვლების შესახებ. უამისოდ პორტის გაკეთება შეიძლება?! უმაღლესი დონის მეცნიერები სწავლობენ ამ პრობლემას. ასე რომ, ძალიან კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, და ქვეყნისთვის, მართლაც რომ მნიშვნელოვანი დღეა!

ნია ფიფია

◎ კონკურსი

ვინ დაიკავებს ვაკანტურ ადგილს?

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების X თავის შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ასარჩევად მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ვაკანტურ ადგილზე შიფრით 010303 ცხოველთა და ფრინველთა კვება (ბიოქიმიის მიმართულებით).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს (წევრებს), სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით. კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი მოწმობები (ნოტარიულად დამოწმებული ასლები) მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV) სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4X6).

აღნიშნული განცხადება განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადამიაში. დოკუმენტაციის მიღება ხდება ზემოაღნიშნული განცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმალობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102 ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20. 2 94-13-21, 2 96-03-00) საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

ვლადიმერ პუტინის თანაშემწე საქართველოს მიერ ასოციირების შეთანხმებაზე ხელმოწერის საკითხს ეხმაურება

აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის განცხადებით, 27 ივნისს საქართველო ხელს აწერს ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას და რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა უნდა იჩქარონ ურთიერთთანამშრომლობისა და დაახლოების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

სააგენტო „რესის“ ინფორმაციით, ამის შესახებ სურკოვმა ცხინვალში ვიზიტისას, დე ფაქტო პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვთან და ე.წ. პარლამენტის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა.

— ჩვენ ოპერატიულად უნდა შევიმუშავოთ ახალი გეგმა, რომლის მიხედვითაც შევძლებთ, უფრო აქტიურად ვითანამშრომლოთ თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევძლოთ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, — განაცხადა სურკოვმა.

◎ გულის გუნარი

ერისკაცის ეროვნული პოზიცია

ამ წერილის სათაური, ალბათ, ბევრს გააკვირვებს, მაგრამ არაფერი შეგეშალოთ! იყავით იმედიანად. ერისკაცები კვლავაც ბევრნი არიან. აბა, საქართველოში ნიჭიერს, ჭკვიანს, პირიანს, ქვეყანაზე მოფიქრალს რა გამოლევს!.. ოღონდ სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ისინი დღეს ნაკლებად ჩანან ტრიბუნაზე, ტელეეკრანზე, ბეჭდვით სიტყვაში... სამაგიეროდ, მომრავლდნენ ქარიხვეტიები, ცრუ ერისკაცები, გამოუსწორებელი დემაგოგები, ყბედი, უტვინო, ენაგრძელი და ჭკუათხელი „გენიოსები“, ყვარყვარე თუთაბერები...

კიდევ მეტი, ვინც ოცდამეერთე საუკუნის ქართველებს დანტე ალიგიერის ჯოჯოხეთის ცხრა წრე მონაგონი გაგვიხადა, ათასი ბოროტების უშუალო მონაწილე, უდანაშაულო ადამიანების ხოცვაში, აწიოკებაში, სისხლში გასვრილი აქვს ხელები, ყოფნის თავხედობა და დღეს დგას ტრიბუნაზე, თვითონვე ყვირის: არიქა, ქურდი, არიქა, კრიმინალი, ავაზაკი... იქცევა საქართველო!..

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ბავშვობაში ნასწავლი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხიდან“ სტრიქონები: „შვილო ზურაბ, სადამდის?“ გონიერი საზოგადოების პასუხი მხოლოდ ერთია: „სანამ ქვეყნად სამართლიანობა არ აღდგება“. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ქვეყანა გათავისუფლდება სახელმწიფოს მართვის სათავიდან წამოსული ყველა ბოროტების, უსამართლობის, უკანონო გადაწყვეტილებისთვის კანონიერების ძალის მიმნიჭებლებისგან.

ელემენტარული აქსიომაა — უკანონობისათვის კანონიერების ბეჭდის დამსმელი სასამართლო ამქვეყანაზე სამართლიანობას ვერ აღადგენს. ძველებურად, მაგრამ სწორად, თან ცოტა ქვეტექსტით რომ ვთქვათ — დღეს კადრები წყვეტენ ყველაფერს!.. არადა, დღემდე ქართველებმა ვერა და ვერ მოვიცილეთ მრავალსაუკუნოვანი ვირუსი — თურაშაულის პატრონი ტყეში ვეძებთ პანტასს!..

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ კალამი ცოტა გამექცა, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია. პირველი არ არსებობს უმეორეოდ და პირიქით. ახლა კი დავუბრუნდეთ თემას.

ერის კაცი და მისი ეროვნული პოზიცია ჩვენს დროში, წარსულისაგან განსხვავებით, უფრო ტევადი გახდა. იგი დღეს არ ამოიწურება მხოლოდ ვაჟკაცობით, აბჯარასხმულობით და სამშობლოს დაცვისთვის თავგასაწირად მზადყოფნით. მსოფლიო გლობალიზაციის პრობლემებმა, საერთაშორისო მასშტაბით გიგანტურ სახელმწიფოთა ურთიერთქიშპობამ დედამიწის ყოველი მტკაველის მიტაცების ან გავლენის მოპოვებისთვის, მწვავე დილემის წინაშე დააყენა ჩვენი სამშობლო. საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ ტერიტორიას, არამედ ენას, ზნეობას, კულტურას, თვით ფსიქიკურ წყობას, ტრადიციას... ამას ემატება ჩვენი შიდა ეკონომიკური უმძიმესი მდგომარეობა.

და ასეთი ვითარების მიუხედავად, ერთი წუთითაც არ გვაქვს სასოწარკვეთის, უიმედობის საფუძველი. ამ სტრიქონების ავტორი ოთხმოცდაექვსი წლისა გახლავართ, ექვსი ათეული წლის უწყვეტი შრომითი გამოცდილებით. გარწმუნებთ, თავისი ისტორიის მანძილზე საქართველო არაერთხელ ყოფილა მსგავსი სიძნელეების წინაშე. საბედნიეროდ, დღეს გვაქვს მისი გამკლავებისა და დაძლევის ყველა რესურსი. ეს არის ჩვენი დალოცვილი მიწის უმდიდრესი წიაღისეული, ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა დიდი კი არა, ამოუწურავი რესურსი. დღეს სრულფასოვანი კაცის თუ ქალის წინსვლის კომპასი უნდა გახდეს ხალხის გაერთიანება. ყოველგვარი სხვისი მოიმედეობის გარეშე შრომისუნარიანმა ადამიანმა თვითონვე უნდა მოჰკიდოს ხელი პრაქტიკულ საქმეს. ციდან მანანას ნუ ველოდებით.

ამიტომ დღეს ერისკაცია ყველა ის, ვინც თავისი მოღვაწეობით, ქვეყნისადმი ერთგულების, ადამიანებისადმი თანადგომის, სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითს აძლევს გარშემომყოფთ. ერისკაცი მუდამჟამ საქმეში ჩუმად ფუსფუსებს, უხმაუროდ უხამებს ერთმანეთს პირად და საზოგადოებრივ ინტერესს. მისგან გამორიცხულია საკუთარი უპირატესობის, ღირსების რაიმე ფორმით წინ წამოწევა და ე. წ. „მყინვარწვერზე კუდის ჩამოდება“. ასეთი ერისკაცები ქართველი საზოგადოების ყველა სფეროში საკმაოდ არიან. მათ მხოლოდ დანახვა და საზოგადოებაში შესაბამისი ადგილის მიკუთვნება სჭირდებათ, რაც საქართველოს გადარჩენის საწინდრად მიგვაჩნია.

გიორგი ნაჭყებია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

***P. S. ეს წერილი** ახლახან გამოცემულმა ბატონ ანზორ ბაბუხადიას ერთმა პატარა წიგნმა „მასალები საბრალდებო დასკვნისათვის“ დამაწერინა.*

◎ განსჯა

„ნაციონალური მავნებლური“ პოლიტიკური ძალა,

ანუ თუ ნაწყენი ხართ, ეგ თქვენი წყენა საკუთარ საძინებელ ოთახში შეგიძლიათ შეინახოთ“

„ნაციონალური მოძრაობა“ ცესკოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის თარიღის გამოცხადებისკენ მოუწოდებს. გიგი უგულავას განცხადებით, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ეს არ არის მხოლოდ თარიღის ცოდნა და მხოლოდ ის, რომ მეორე ტურში გასული სუბიექტები უნდა მოემზადონ განმეორებითი არჩევნებისთვის. როგორც უგულავა აცხადებს, მთავრობამ მოახდინა ზეწოლა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიაზე.

უგულავას განცხადებას უპასუხოდ ტოვებს მმართველი კოალიცია. პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი კი აცხადებს, რომ დიდი ალბათობით მეორე ტური გახდება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის გამარჯვების იურიდიული დასაბუთება. რაც შეეხება აქტივობას, მისი თქმით, ამას დაგვანახვებს ხმების რაოდენობა, რომელსაც მიიღებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი.

For.ge სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რატომ არ მივიდა მოსახლეობა არჩევნებზე და რა გარანტიაა, რომ ამომრჩევლის ის ნაწილი, რომელიც არ მივიდა არჩევნებზე, მეორე ტურში მიიღებს მონაწილეობას?

— გადავავლოთ თვალი დემოკრატიულ ქვეყნებში გამართულ არჩევნებს, იმ ქვეყნებში სადაც ხელისუფლების შეცვლა არ ნიშნავს ქვეყნის თავდაყირა დაყენებას, ან დიამეტრულ ცვლილებებს. როცა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში მიაშურა ყველამ საარჩევნო უბნებს, ეს იყო მათი პროტესტი იმდროინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ და შიში იმისა, რომ ის ვერაგი ხელისუფლება შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. ამ არჩევნებზე კი ჩვენს მოსახლეობას არ ჰქონდა ასეთი შემაშფოთებელი მიზეზი, მათ პირიქით აწყნარებდნენ, რომ აი, ორიოდე დღეში „ნაციონალური მოძრაობა“ რადარებიდან გაითიშება.

— ფიქრობთ, რომ ეს მოწოდება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არ მოვიდა ამომრჩეველი არჩევნებზე?

— ასეთი მოწოდება რას ნიშნავს? — ჩემო ძვირფასო ამომრჩეველო, თავი არ შეიწუხო არჩევნებში მონაწილეობით, ისედაც ყველაფერი კარგად იქნება. სამაგიეროდ, ამან უფრო მტკიცე გუნდად შეკრა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, რომლებმაც სერიოზულად აღიქვეს ეს მუქარა და ყველამ ერთად მიაშურა საარჩევნო უბნებს. ეს გახლავთ საარჩევნო უბანში მისვლა-არმისვლის მთავარი მოტივაცია. ნებისმიერი სხვა განმარტება ნიშნავს ამომრჩევლის დაბალ პოლიტიკურ კულტურას. როცა ამბობენ, რომ მე ნაწყენი ვარ და არ მივდივარ, უკაცრავად, ეგ თქვენი წყენა საკუთარ საძინებელ ოთახში შეგიძლიათ შეინახოთ და გვერდზე მყოფს გაანდოთ მხოლოდ.

— მეორე ტურში რამდენად დიდი იქნება იმ ადამიანების აქტივობა, რომლებიც არ წავიდნენ არჩევნებზე?

— ნიჰილიზმი არის კოხტა თავშესაფარი სიზარმაცისა. ვერ დავიჯერებ, რომ მხოლოდ სიზარმაცე იყო მიზეზი ასეთი პასიურობის, მაგრამ არც იმის მჯერა, რომ ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯი ამა თუ იმ მოქალაქის. მეორე ტურის სიტუაცია ბევრად უფრო მარტივია, აღარავის აქვს ვალდებულება, თავი შეიკავოს საკუთარი არჩევანის დასახელებისგან. დიდი ალბათობით მეორე ტური გახდება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის გამარჯვების იურიდიული დასაბუთება. როგორი იქნება აქტივობა, ამას დაგვანახვებს ხმების რაოდენობა, რომელსაც მიიღებს „ქართული ოცნების“ კანდიდატი.

— როგორ ფიქრობთ, თანხები, რომლის საქართველოში შემოტანას ცდილობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობისთვის იყო განკუთვნილი?

— არ მაქვს ინფორმაცია, შემოჰქონდათ თუ არა თანხები. საქართველო არაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ვიდეოპარატურა არსებობს, აზერბაიჯანშიც საკმარისი ვიდეოპარატურა აქვთ და თუკი ასეთი ვიდეომასალა არსებობს, ამას, ალბათ, ვიხილავთ. ჯერჯერობით, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მსახიობები, ხოლო ვინ არის ამ თავგადასავლის სცენარის ავტორი და რეჟისორი, ჯერჯერობით არ სახელდება. ასე არ ხდება, რომ მსახიობმა თვითონ მოიგონოს საკუთარი როლი, განახორციელოს, ხოლო მეორე მოქმედებაში საპირისპირო სცენარი შემოგვთავაზოს და დაიმსახუროს საკუთარ თაყვანისცემელთა ტაში.

ჩემთვის საინტერესოა პროცესის წინაპირობა. თუ დადასტურდა, რომ რეალურად იყო არადეკლარირებული თანხის გადატანის მცდელობა, მაშინ მართლა სახალხო არტისტის წოდება უნდა მივანიჭოთ ჯაფარიძეს და ნადირაშვილს, ისე კარგად ასრულებენ ისინი უბიწო ქალწულისა და ვაჟწულის როლს.

— თქვენთვის აღმოჩენა იყო, რომ, შესაძლოა, „ნაციონალურ მოძრაობას“ „შავ ფულთან“ ჰქონოდა საქმე? გავიხსენოთ უგულავას ქვისლის დაკავების წინაპირობა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სწორედ „შავი ფულის“ შემოტანის ბრალდებით დააკავა, რომელსაც საარჩევნოდ საქართველოში მილიონ ნახევარი აშშ-ის დოლარი შემოჰქონდა...

— „შავი ფული“ გახლდათ და გახლავთ „ნაციონალური მოძრაობის“ არსებობის ფორმა. ყველა ბიზნესმენისთვის უსამართლოდ და ყაჩაღური გზით წართმეული თანხები სწორედ ასეთ ფულად მოიაზრება, რადგან მათ, როგორც ჩანს, სრულიად მკაფიო მისამართით აგზავნიდნენ, აგროვებდნენ და ინაწილებდნენ. რომ არა ეს დაუოკებელი ლტოლვა ფულისკენ, „ნაციონალური მოძრაობა“ დღესაც ხელისუფლებაში იქნებოდა და სხვა სახის კომპეტენციის და უნარების პარტიად გამოჩნდებოდა.

ფულმა დაღუპა, როდესაც საკუთარ ფასეულობათა სათავეში ფული წარმოაჩინეს და არა ადამიანი. საკუთარ თავს თვითონვე ვნებდნენ და ვფიქრობ, რომ დღესაც ვნებენ და არა მარტო საკუთარ თავს. დღევანდელ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, მიუხედავად იმისა, რომ იქ ნიჭიერი ადამიანები არიან, შეიძლება ვისაუბროთ როგორც „ნაციონალურ მავნებლურ“ პოლიტიკურ ძალაზე.

თამთა ძარჩავა

◎ ალიანჩალიანი

„იმედში“ რეფორმირება იწყება

ამის შესახებ ნათქვამია ტელეკომპანია „იმედის“ მენეჯმენტის და სამეთვალყურეო საბჭოს თანამშრომლებისადმი მიმართვაში, რომელიც „ინტერპრესნიუსმა“ მოიპოვა.

აღნიშნულ მიმართვაში აღნიშნულია:

„ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ტელეკომპანიის თანმიმდევრული რეფორმირება მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით, როგორც ახალი ამბების სამსახურის, ასევე მთელი ტელეკომპანიის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ეს თქვენ მოგცემთ საშუალებას, პროფესიულად უფრო „გაიზარდოთ“, ტელეკომპანიას კი მისცემს საშუალებას, გავიდეს მუშაობის და მაუწყებლობის ახალ ეტაპზე.

რეფორმის მეშვეობით აუცილებელია სატელევიზიო მასალის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გასვლა.

იმის გამო, რომ ამოცანა ამბიციურია, ჩვენ გადავწყვიტეთ, შევთავაზოთ საინფორმაციო დეპარტამენტის დირექტორს ბაია ცანავას, გახდეს ტელეკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, პატარკაციშვილების ოჯახის წევრებთან ერთად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი გამოცდილება, პროფესიონალიზმი და „იმედის“ ცოდნა მოგვცემს საშუალებას, გავხადოთ ჩვენი საქმიანობა უფრო პროდუქტიული;

ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ბაია ცანავას ხელმძღვანელობით და თქვენი გუნდის შრომის შედეგად, „იმედი“ ინარჩუნებს მაღალ ნდობის რეიტინგს და ინფორმაციის მიწოდების დაბალანსებულ ხასიათს. ჩვენ ვამაყობთ თქვენი საქმიანობით.

ყველანაირი სპეკულაციების გამოსარიცხად, გვინდა, ასევე დავადასტუროთ, რომ წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტი, ასევე ტექნიკის ეტაპობრივი განახლება განხორციელდება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ თქვენს ურთიერთგაგებაზე, თანამშრომლობასა და რეფორმის პროცესში კონცენტრაციაზე, რათა ვეცადოთ და ჩამოვაყალიბოთ ახალი საინფორმაციო პლატფორმა და ახალი ტიპის ტელევიზია.

ინტერპრესი

როცა ხალხი დუმს, მხოლოდ ჩინოვნიკური სიტყვა გაისმის

საჯარო ინფორმაციის თავისუფლება

საზოგადოებრივი აზრის ძალაში არაერთი ტოტალიტარული თუ ფსევდოდემოკრატიული რეჟიმი დარწმუნდა. ხელისუფლებასთან კამათში ხალხის წება ყოველთვის გადამწყვეტია. დასანანია მხოლოდ დრო და ენერგია, რომლის დახარჯვაც ასეთ შემთხვევაში უწევს ხალხს – ეს ხომ ქვეყნის შენებას აკლდება!

„ვარდების“ ხელისუფლების გაბატონებისთანავე ცხადი გახდა, რომ საზოგადოება სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ახალი პოლიტიკური გუნდის „თამაშის წესის“ მეტისმეტად აგრესიულ რადიკალიზმს, საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების მიმართ უპატივცემლობას და წინასაარჩევნო დაპირებების ცინიკურ უგულებელყოფას. საზოგადოებრივ აზრს და, ზოგადად, ხალხის მოლოდინს ხელისუფლებამ საეჭვო მორალურ-ეთიკურ ფასეულობებსა და პარტიულ-კორპორაციულ ინტერესებზე დაფუძნებული პრიმიტიული ავანტურიზმი დაუპირისპირა. ხოლო საკუთარი არაკომპეტენტურობის გადასაფარად მთელი ძალით აამოქმედა რეპრესიული აპარატის როგორც ლეგალური, ასევე ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური, ზოგჯერ კი, დაუფარავად კრიმინალური მეთოდების ფართო არსენალი.

და როგორც ყველა დამპყრობელს სჩვევია, დაიწყო გაფთრებული შეტევა სახელმწიფოებრიობის ძირითად საფუძვლებზე – **ენაზე** (*ლომაიას რეფორმა*); **მამულზე** (*სოფლად ფეოდალური ეკონომიკური ურთიერთობების რესტავრაცია, ქალაქად – კერძო საკუთრების დაყაჩაღება, ნომენკლატურული კაპიტალიზმი, „კრიშობა“*); **სარწმუნოებაზე** – აქ კი არ გაუვიდათ!

ჩვენმა ხალხმა დაინახა საქართველოს სულიერი მესაჭის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელმწიფოებრივი აზროვნების გამორჩეული უნარი, სათანადოდ შეაფასა მისი სიბრძნე და გაერთიანდა დედაეკლესიის წიაღში. სწორედ აქ მოხდა ერის კონსოლიდაცია, რის შედეგადაც დაიწყო „ქვების შეგროვების ჟამი“ – პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღება.

როგორც გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი ბრძანებდა, სახელმწიფო მართვის დემოკრატიული მოდელი შორსაა სრულყოფილებისაგან, მაგრამ უკეთესი კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია. დედამიწის ზურგზე დღეს არსებული თითქმის ყველა ქვეყანა თავს დემოკრატიულად წარმოაჩენს. გავიხსენოთ, თუნდაც, ჩრდილოეთ კორეა, რომლის ოფიციალური სახელწოდებაც „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა“.

ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდის დამასრულებელი ეტაპის არსი თითოეული ადამიანის ინტერესებისაკენ ხელისუფლების შემობრუნებაშია. დემოკრატიული მმართველობის მოდელის მთავარი ღირებულება სწორედ რიგით მოქალაქეზე ორიენტაციაა.

ცხრა წლის მანძილზე ქართული მედია გადაქცეული იყო ერთი ჩინოვნიკის ტრიბუნად, საიდანაც, „დარი იყო თუ ავდარი“, ისმოდა „დემოკრატიის შუქურის აღმაშენებლის“ „მაგარი“ მონოლოგები, რომელთაც შემდგომ მრავალჯერ გადაამღერებდა ხოლმე სოროსის მეთოდოლოგიით გენმოდიფიცირებულ „ქართველ დემოკრატთა“ გუნდი. რა დამავიწყებს, მაგალითად, ვინმე კაკალაშვილის „შედევრის“ მაღალ პოეტურ ღირსებებზე პარლამენტის ტრიბუნიდან წაკითხულ ლექციასს..

ხელისუფლება, რომელიც ხალხს მონოლოგებს უკითხავს, ვერასდროს გახდება დემოკრატიული. ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ღია, ყოვლისმომცველი დიალოგის (საჯარო ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლის) გარეშე ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე საუბარი ფუჭია, ხოლო დიალოგის დაწყების უმთავრესი წინაპირობა სწორედ საჯარო ინფორმაციის (სრული მოცულობით) ხელმისაწვდომობაა.

რით დავიწყოთ?

თავდაპირველად, ჩვენ, ხალხმა უნდა განვსაზღვროთ, თუ რა ზნეობრივ-ეთიკური ფასეულობების ერთგული საზოგადოება გვსურს ჩამოყალიბდეს ქვეყანაში და, საერთოდ, გვინდა თუ არა დემოკრატია? ხოლო, შემდეგ გადავწყვიტოთ, რა ტიპისა და რა სულისკვეთების ხელისუფლება შეძლებს უზრუნველყოს ერის თავისუფალი განვითარებისათვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბება.

წინა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო, ხოლო მოქმედმა არანაკლები შემართებით გააგრძელა საქართველოს კონსტიტუციის (1995) ჭრა-კერვა და საკუთარ ინტერესებზე მორგება, რაღა თქმა უნდა, ხალხის სახელით! და რაც მათთვის მთავარი იყო, „ვენეციის კომისიაც“ მუდამ მწვანე შუქს უნთებდა.

საბედნიეროდ, ცვლილებების სამიზნედ ხდებოდა ძირითადად ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხელისუფლების ამა თუ იმ შემადგენელი ნაწილის უფლებამოსილების გაზრდა-გადანაწილებას. საბედნიეროდ, ვამბობ იმიტომ, რომ მედროვეებს მხედველობიდან გამორჩათ საქართველოს კონსტიტუციის ფუძემდებლური, ჭეშმარიტად დემოკრატიული პოსტულატები:

„...მუხლი 1

...2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის **დემოკრატიული რესპუბლიკა**...

...მუხლი 5

1. საქართველოში **სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი**. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. **ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს** რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი **წარმომადგენლების მეშვეობით**...

...მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს **ინფორმაცია**, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით...

...მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი **წარმომადგენლობითი** ორგანო... “

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ დებულებებს ასე აღვიქვამ: დემოკრატიული მმართველობა არის კონსოლიდირებული საზოგადოებრივი აზრის („res publicus“ – ლათინურად „ხალხის ხმა“) მიტანა და დამკვიდრება პარლამენტში (ხალხის <u>წარმომადგენლთა</u> სათათბიროში), რაც შემდგომ განაპირობებს მთლიანად ქვეყნის მმართველობის სისტემის საქმიანობაში <u>ხალხის</u> ნების უზენაესობას. ეს კი ხორციელდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ საზოგადოებრივი (ხალხის) დაკვეთის სრულფასოვანი რეალიზაციისათვის საჭირო მკაფიოდ განსაზღვრული საკანონმდებლო, საბიუჯეტო, ადმინისტრაციული და სხვა სახის პრინციპების, ჩარჩოების, წესებისა თუ პროცედურების ჩამოყალიბებისა და განხორციელების უზრუნველყოფის გზით.

ხაზგასასმელია, რომ დემოკრატია (რაც ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „ხალხის მმართველობა“) არის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობისა და ფუნქციონირების **მუდმივმოქმედი** წესი. დემოკრატიული არჩევნები კი უწყვეტი პოლიტიკური პროცესის მხოლოდ **ეპიზოდია** (უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანი). ამასთანავე, მხოლოდ „პოლიტიკურად განათლებული“ საზოგადოება შეძლებს სწორად შეაფასოს ამა თუ იმ კანდიდატის, პოლიტიკური ძალის კომპეტენცია და უნარი, ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

შესაბამისად, სულაც არ არის საჭირო მორიგი წინასაარჩევნო პერიოდის ლოდინი. ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ საკითხებზე საერთო ეროვნული დისკუსიის დღესვე წამოწყება და შემდგომ გაფართოება ხელს შეუწყობდა მოქმედი ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიციათა შეჯერებასა და დაახლოებას, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის, როგორც სამთავრობო და კერძო სექტორებს შორის „დიალოგისა და თანამშრომლობის ხიდის“ როლის განმტკიცებას.

ცხადია, შეუძლებელია ერთდროულად ყველა პრიორიტეტულ მიმართულებაზე შესაბამისი რესურსების კონცენტრირება. ამასთანავე, მიმართულებების რიგითობისა თუ პრიორიტეტულობის განსაზღვრაც არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების საქმეცაა. დიალოგის რეჟიმში განსახილველ საკითხთა მაგალითად მოვიყვან, თუნდაც განათლების ცნობილ რეფორმას, რომელიც დღემდე იწვევს, რბილად რომ ვთქვათ, აზრთა სხვადასხვაობას. ხელისუფლების მხრიდან დისკუსიაში ძირითადი პარტნიორი პარლამენტია, როგორც მოქალაქეთა არჩეული წარმომადგენლობა, კერძოდ კი, განათლების საკითხებზე მომუშავე კომიტეტი. **წარმომადგენლობითი დემოკრატიის არსიც** ამაშია – ხალხი მოითხოვს პასუხს შესაბამისი **კომიტეტის თავმჯდომარისაგან**, და არა განათლების **მინისტრისგან**!

შემდგარი დემოკრატიული მმართველობის პირობებში შეუფერხებლად მოქმედებს **ხალხის ნების აღსრულების მექანიზმი**:

ღია და მრავალმხრივი **დიალოგის** პროცესში საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მკვიდრდება **პარტნიორული ურთიერთობები და აქტიური თანამშრომლობა**. იგულისხმება სახელმწიფო დაწესებულებათა და მოხელეთა საქმიანობის **მონიტორინგი** და **შეფასება**, ხელისუფლების სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოების სავარაუდო რეაქციის **მომზადების სტადიაზეე პროგნოზირება** და სხვა. ხოლო ცალკეულ შეთანხმებულ საკითხთა ერთიანობა შექმნის **ეროვნული თანხმობის** საფუძველს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ერის კონსოლიდაციას, პოლიტიკურ სტაბილურობას, პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას, ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას, სოციალურ სამართლიანობასა და სხვა.

საზოგადოება იძენს ხელისუფლების **ოპონირებისა და კონტროლის** ქმედით მექანიზმებს, რაც **აღარ უტოვებს სახელმწიფო აპარატს სხვა არჩევანს**, ვიდრე არსებითად შეცვალოს თავისი საქმიანობის მოძველებული თუ არაეფექტიანი სტილი და მეთოდები, **მოქალაქეებს შეუთანხმოს მომსახურების სტანდარტები**, გახდეს მოქნილი, პროგნოზირებადი, შედეგებზე ორიენტირებული და **პასუხისმგებელი**.

საბოლოოდ, სახელმწიფო აპარატი ყალიბდება კანონმდებლობაზე დაფუძნებულ ინტეგრირებულ, მოქნილ, მაღალეფექტიან და გამჭვირვალე სისტემად, ხოლო მისი ძალისხმევა მიზანმიმართულადაა კოორდინირებული **საზოგადოების თავისუფალი და ჰარმონიული განვითარებისთვის** საჭირო დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული გარემოს უზრუნველყოფისათვის.

სწორედ ეს არის საქვეყნოდ აღიარებული გზა დემოკრატიისკენ! სწორედ ამ გზამ მიიყვანა ცენტრალური ევროპისა და ბალტიის პოსტკომუნისტური ქვეყნები ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობამდე. გარდამავალი პერიოდი კი, მათთვის უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ისევე, როგორც ტოტალიტარული რეჟიმების „თამაშის წესიც“.

რთული გზაა? დიახ! იოლი ევროატლანტიკური სათაგურიდან ყველის დათრევის მოლოდინია.

როცა ხალხი დუმს, მხოლოდ ჩინოვნიკური სიტყვა გაისმის...

სულიკო ედიშერაშვილი.

◎ ალიანჩალიანი

ეს წინასაარჩევნო ხრიკები „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციაა

ამასთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„საბურთალოს რაიონის ქუჩებში გამოჩნდა „ქართული ოცნების“ სახელით გაკრული განცხადება, რომლითაც თითქოსდა „ქართული ოცნება“ მსურველებს სთავაზობს, სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციის საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ განცხადებაში მითითებულ ნომრებზე. განცხადებაში არ არის დაკონკრეტებული, რა ტიპის დახმარებას სთავაზობენ მსურველებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს, განვაცხადოთ, რომ „ქართული ოცნება“ მითითებულ განცხადებასთან არავითარ კავშირში არ არის.

სავარაუდოდ, მსგავსი იაფფასიანი ხრიკებით, არჩევნების მეორე ტურის წინ, ვიღაცას მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია სურს.

მივმართავთ მოქალაქეებს, ქალაქის ქუჩებში მსგავსი განცხადების ნახვის შემთხვევაში, დაუკავშირდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ რაიონულ შტაბებს.

ამასთან, მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, შეისწავლონ აღნიშნული განცხადების წარმომავლობა, – ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული ოცნების“ სახელით გავრცელებული განცხადებების შესახებ ინფორმაცია „ამბები.გე“-მ დღეს გაავრცელა. განცხადებები, რომლითაც თბილისელებს „ქართული ოცნების“ სახელით გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსებას ჰპირდებიან, საბურთალოზე, ავტობუსის გაჩერებებზეა გამოკრული.

– ძვირფასო თბილისელებო, თუ ვინმეს ესაჭიროება სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, – წერია განცხადებაში, რომელშიც სამი საკონტაქტო ტელეფონის ნომერია მითითებული. განცხადება „ქართული ოცნების“ ლოგოიან ფურცელზეა დაბეჭდილი.

„ამბები.გე“-მ აღნიშნულ ნომრებზე დაკავშირებით სცადა გაერკვია, კონკრეტულად რას შეეხებოდა ეს დაპირება. მითითებული სამი ნომრიდან მხოლოდ ორი იყო ჩართული. მათგან ერთი „ქართული ოცნების“ საბურთალოს ერთ-ერთი ქუჩის წარმომადგენლის აღმოჩნდა. ქალბატონი, რომელმაც საკუთარი ვინაობა არ დაასახელა, ქუჩაში გამოკრული განცხადების შესახებ საქმის კურსში იყო. მან დაადასტურა, რომ განცხადებები „ქართული ოცნების“ კოორდინატორმა გააკრა, თუმცა, განმარტა, რომ აღნიშნულმა პირმა ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და მასთან შეთანხმების გარეშე მიიღო. მისივე თქმით, მოგვიანებით იგივე პირს დაევალა გაკრული განცხადებები სასწრაფოდ ჩამოეხსნა.

– სად არის ეს განცხადება, ერთმა იდიოტმა გააკეთა, მაგაზე ერთი ამბავი ატყდა. უფროსი ვარ იმ კაცის, ვინც ეს გააკეთა და რომ გავიგეთ, გადავირიეთ. მაგის გაკეთება არ შეიძლებოდა არაფრით. ჩამოვახსნევინეთ. მაგის გაკეთების უფლება ჩვენ არ გვაქვს, – განაცხადა ქალბატონმა, თუმცა, არ დააკონკრეტა იმ პირის ვინაობა, ვინც განცხადება გააკრა.

◎ მეორე ტურის წინ

ნაღდად შედგა გარიგება?

პოლიტიკური თავყრილობა გორის უნივერსიტეტში

შედგა თუ არა გარიგება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის გორში, ეს არის საკითხი, რომელზეც ქალაქში აქტიურად საუბრობენ. For.ge-ს ინფორმაციით, მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 18 ივნისს გორის უნივერსიტეტში შედგა, სადაც სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის მინისტრებმა სამთავრობო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის პრეზენტაცია გამართეს და წინასაარჩევნო დაპირებებიც ისმოდა. For.ge-ს ინფორმაციით ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი ზურა რუსიშვილი და ადგილობრივი ბიზნესმენები.

ამ ბიზნესმენებში საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილნი „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და შტაბის წევრებიც. როგორც ამ შეხვედრის მონაწილე ამბობს, იაფი კრედიტებითა და სახელმწიფო ქონების იაფად გადაცემის სანაცვლოდ „ნაციონალურ მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ შტაბები, გუბერნატორის შუამავლობით შეთანხმდნენ, რომ მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ მინიმუმ, ხელს არ შეუშლის და სადაც შესაძლებელი იქნება დაეხმარებიან. ამავე წყაროს ინფორმაციით, დეტალები ჯერჯერობით ცენტრალურ ოფისებთან შეთანხმებული არაა. მისივე ინფორმაციით, მთავარი იყო მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის შესახებ თანხმობა ადგილობრივ დონეზე მიღებულიყო.

აღსანიშნავია, რომ გორი ერთ-ერთია იმ რვა თვითმმართველი ქალაქიდან, სადაც თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური ჩატარდება. ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გორში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა ზურაბ ჯირკველიშვილმა ხმების 40.38 პროცენტი მიიღო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა არჩილ საბიაშვილმა 14.87 პროცენტი, ხოლო „ირაკლი ოქრუაშვილი – ქართული პარტიის“ კანდიდატმა ერგემლიძემ 29.27 პროცენტი. რაც შეეხება თვითმმართველი თემის გამგებლობის კანდიდატს, „ქართული ოცნება“ – დავით ონიაშვილი – 46.85 პროცენტი, „ნაციონალური მოძრაობა“ – 16.14 პროცენტი, „ირაკლი ოქრუაშვილი ქართული პარტია“ – ბონდო ვათიაშვილი 26.5 პროცენტი.

შესაბამისად, მეორე ტურში ერთმანეთს „ქართული ოცნება“ და „ქართული პარტია“ დაუპირისპირდება. ახალმა პოლიტიკურმა მოთამაშემ ირაკლი ოქრუაშვილმა გორში მეორე ადგილი აიღო და „ნაციონალური მოძრაობაც“ ჩააჩოჩა. რეგიონში სტაბილიზაციისთვის „ქართულ ოცნებას“ საკრებულოში სჭირდება პარტნიორი და ვინ იქნება ეს პარტნიორი, ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება ინფორმაციას „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალაური მოძრაობის“ გარიგების შესახებ, For.ge-სთან საუბრისას გორის მკვიდრმა აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ნადვილად არსებობს გორში. მისი თქმით, თუ ასეთი გარიგება მოხდება, ეს წამგებიანი იქნება „ქართულ ოცნებისთვის“, ისევე როგორც კოჰაბიტაცია ირაკლი ოქრუაშვილთან, რადგან მისივე განცხადებით, გორის მოსახლეობა ხელისუფლებისგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი For.ge-სთან საუბრისას ადასტურებს გორის უნივერსიტეტში შეხვედრას, თუმცა, უარყოფს ინფორმაციას სავარაუდო გარიგებაზე.

„შეხვედრა ნამდვილად შედგა, გუბერნატორმა გახსნა. შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი. გაიმართა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის პრეზენტაცია. ამის შემდეგ იყო კითხვა-პასუხის რეჟიმი. შეხვედრას ესწრებოდნენ ბიზნესმენებიც, მაგრამ რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის შემდგარ გარიგებას, მსგავსი რამე არა ყოფილა, არანაირ კავშირში არაა ეს თემა ამ შეხვედრასთან“, – აცხადებს გურამ მაჭარაშვილი.

„ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებას კატეგორიულად უარყოფს პარტია „ქართული ოცნების“ გორის საოლქო ორგანიზაციის უფროსი ნინო ზურაბიშვილი.

„მაგ სისულელეზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. სხვა დროს ჯობია ხოლმე წყარო დააზუსტოთ. შეიძლება 100 შეხვედრა მოხდა იმ დღეს გორის უნივერსიტეტში, რაც

შეეხება გარიგებას „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, ეს არის აბსურდი“, – განუცხადა For.ge-ს ნინო ზურაბიშვილმა.

ოპონენტებს პარტიის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს „ნაციონალურაი მოძრაობის“ გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე კახა ტალიაშვილი.

„ეს არის ტყუილი. ჩვენთვის ორივე პოლიტიკური ძალა და მათი ღირებულება მიუღებელია, რადგან არც ერთი ძალა ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება. ჩვენ მონიტორინგს გავუწევთ იმ ტყუილ დაპირებას, რომელიც მისცეს ხელისუფლებას. არანაირი გარიგება ჩვენ არ გვჭირდება, პირადად მე არც ვაპირებ არჩევნებზე წასვლას“, აცხადებს For.ge-სთან საუბრისას კახა ტალიაშვილი.

მეორე ადგილზე გასული „ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული პარტიის“ წევრები არ გამორიცხავენ, რომ ასეთი გარიგება მართლაც შემდგარიყო მმართველ კოალიციასა და ყოფილ სახელისუფლებო გუნდს შორის. ჩვენ შევეცადეთ თავად ოქრუაშვილთან დაკავშირებას, თუმცა, როგორც პარტიის წევრებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, ოქრუაშვილი საქართველოში არ იმყოფება.

„მეორე ტურში მივიღებთ მონაწილეობას და გავიმარჯვებთ კიდეც. რაც შეეხება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის კოაბიტაციას და შეხვედრას, ნებისმიერ გორელს შეეკითხეთ რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას „ქართული პარტიის“ პრეს-ცენტრის უფროსმა ნოდარ სხირტლაძემ.

თამთა ქარჩავა

◎ მიკროსაფინანსო სექტორი

რა – რის ფასად?

„საფინანსო კომპანია .... შემოტანილ თანხაზე გთავაზობთ წლიურ 33 პროცენტს..“ – ეს გახლავთ იმ SMS-შეტყობინებების ნაწილი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ პირად მობილურ ტელეფონზე მრავალი სხვა აბონენტივით მივიღე. კომპანიას საგანგებოდ არ ვუთითებ, რათა რეკლამაში, ანდა, პირიქით, ანტირეკლამაში არ ჩამითვალონ, რადგან ლაპარაკი სწორედაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოღვაწეობასა და მათი საქმიანობის გარკვეულ ჩრდილოვან ასპექტებზე გვექნება.

ზოგადად თუ ვიტყვით, ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სეგმენტი საფინანსო სექტორია, განსაკუთრებით მიკროსაფინანსო. იმ დროსაც კი, როცა კომბანკები წლიურად დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთით დაახლოებით 15 პროცენტად განსაზღვრავენ (სხვადასხვა ბანკში გარკვეული განსხვავებით), მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეს თამასა ორჯერ მეტად აქვთ გაზრდილი, რაც სარგებლის მიმღებისთვის უაღრესად მომხიბლავს ხდის. ამდენად, რა გასაკვირია, რომ ხალხი თავის ფულს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დიდი ხალისით აბანდებს, რასაც ელემენტარული სტატისტიკაც მოწმობს: **მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პიკის პირობებშიც კი და საქართველოში 2008 წლის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების დროს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების ერთიანი მოცულობა, წინა წელთან შედარებით, გაორმაგდა.**

იმას, რომ ქვეყნის საფინანსო სექტორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტი ძალიან სწრაფად ვითარდება, სხვა მონაცემებიც ადასტურებს: ამ ტიპის საფინანსო ინსტიტუტების ქვეყანაში გაჩენიდან არცთუ დიდი ხნის მანძილზე, მათი რიცხვი სადღეისოდ ექვს ათეულს აღემატება, რომელთა წარმატებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ, ალბათ, კომენტარსაც არ საჭიროებს – 2006 წელთან შედარებით, როცა ქვეყანაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საფინანსო ინსტიტუტი ამოქმედდა, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ამჟამად მათი ფილიალებისა და მომსახურების ცენტრთა რიცხვმა ორნახევარ ასეულს გადააჭარბა, წმინდა მოგება კი ორმოცდაათჯერ გაიზარდა(!). მიკროსაფინანსო სექტორის დაწესებულებებს მომხმარებლებზე მთლიანად დაახლოებით 612 მილიონი დოლარის სესხი აქვთ გაცემული, რომელთა უმეტესი წილი (98

პროცენტზე მეტი) ინდივიდუალურია.

მიკროსაფინანსო სექტორის წარმატებები მით უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ აქტივებსა და კაპიტალის მაჩვენებლებს კომერციული ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებს შევადარებთ, რომლებიც, გაცილებით მაღალია.

მიკროსაფინანსო სექტორის საბანკო დაწესებულებებთან შედარებით ასეთი წინსვლა, უწინარესად, მაღალი საპროცენტო განაკვეთით, სასესხო ბაზარზე მათი დიდი ოდენობით არსებობითაა განპირობებული.

ამასთან სხვადასხვა სახეობის სესხებზე მეტად, როგორც არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, მოსახლეობისთვის ყველაზე მტკივნეული იპოთეკური სესხების პრობლემაა, რომელთა სიდიდე მრავალი მომხმარებლისთვის აუწეველ ტვირთადაა ქცეული. **არასრული ანალიზითაც ირკვევა, რომ ამ ტიპის სესხებზე საპროცენტო განაკვეთები, ხშირ შემთხვევაში, წლიური 30-60 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ისედაც გაჭირვებულ მსესხებლებს ხშირად სრული კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებს. ამის შედეგად უამრავი ოჯახი უკვე დარჩა საცხოვრისის გარეშე, ზოგსაც ეს საფრთხე უახლოეს მომავალში სავსებით რეალურად ემუქრება.** თუ რაოდენ დიდი გასაჭირი ადგათ ამ მხრივ ჩვენში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იპოთეკარებს, ევროპის ცენტრალური ბანკის ოფიციალური მონაცემებიც ცხადყოფს. კერძოდ, ბოლო ერთი წლის მონაცემებით, იპოთეკურ სესხებზე განაკვეთები ევროპის, მათ შორის, ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცისა და ყოფილი ეგრეთ წოდებული სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში (ბალტიისპირეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, სხვაგან) ეს მაჩვენებელი 1,2-დან 7 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ყველაზე ნიშანდობლივი ამ სოციალურად უაღრესად მნიშვნელოვნ საკითხში ისაა, რომ **ფინანსური ინსტიტუტები (მათ შორის, ცხადია, ბანკები) კლიენტების, კერძოდ, მსესხებლების მიერ ვალის გასტუმრების შესაძლებლობებს ჯეროვნად არ აფასებენ, რის შედეგად მათ, ნებსით თუ უნებლიეთ, „მოვალეთა ორმოში“ აგდებენ, რის მერე, მრავალ შემთხვევაში, გაცილებით ძვირადღირებულ ქონებას ეპატრონებიან.**

ამის თაობაზე არაერთი საჯარო განცხადება გააკეთეს. როგორც ცალკეული კომერციული ბანკების, ისე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლმა და ასოციაციის ხელმძღვანელობამ, თუმცა კი რეალობა, საიდანაც გნებავთ შევხედოთ, მაინც ესაა. ეს სამწუხარო გარემოება კი, უწინარესად, მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონით და ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპითაა განპირობებული.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიანჩალიანი

თბილისში ჰაერის ხარისხს ფილტვები შეამოწმებენ

საძართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მხარდაჭერით, თბილისში ჰაერის სხვადასხვა დამაბინძურებლების გამზომი ერთჯერადი ფილტრები დამონტაჟდა.

ფილტრების დამონტაჟების პროცესს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი სათუნა გოგალაძე დაესწრო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს, ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით 7 ქვეყანაში რეგიონალური პროექტი „ჰაერის ხარისხის მართვა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში“ მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებლების (NO2, SO2, ბენზოლი და მიწისპირა ოზონი) კონცენტრაციის გამზომი ერთჯერადი ფილტრები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი და ფოთი) 100 წერტილში განთავსდება. თბილისისთვის კი შერჩეულია 36 წერტილი.

აფრიკული ჭირი საქართველოდან ვრცელდება

რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმი ანა პოპოვა უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს ვერსიას იმის შესახებ, რომ აფრიკული ჭირის ვირუსი რუსეთში საქართველოდან შევიდა. „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, ამის შესახებ მთავარმა სანიტარმა განაცხადა.

– მოდით, ეს საკითხი მათ დავუტოვოთ, ვისაც ამის დადასტურება შეუძლია, მაგრამ ის, რომ ამის ალბათობა არსებობს, ეს ნამდვილია, – განაცხადა პოპოვამ.

რუსეთის „როსსელხოზნადზორმა“ განაცხადა, რომ აფრიკული ღორის ჭირი რუსეთის ტვერის ოლქის კაშინსკის რაიონში დაფიქსირდა, რის გამოც 23 ივნისიდან კარანტინი გამოცხადდა.

სულხან-საბა ორბელიანის

ორი შეხვედრის მოლოდინი
16 ივნისი

დღეს პარიზელ ელჩ ეკა სირაძე-დელონესთან ერთად მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს მონაკოს პრინცის სასახლეში.

საღამოს კი იგი ჩემს თავს თავის რომაელ კოლეგას „გადააბარებს“ საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე. საქართველოს ელჩი იტალიაში კახა სიხარულიძე დღეს დილაადრიან გამოვიდა რომიდან და მანტონისაკენ მოეშურება.

მე და ბონდო კი ანტიბში ფოტოების და ვიდეოს გადასაღებად გავალთ. დღეს მზიანი ამინდია.

16 ივნისი
შეხვედრა მონაკოში

ანტიბის მერე საბამ ნიცა გაიარა, რომელსაც იგი ნისს უწოდებს. მერე იყო ვილფრანშ-დელ-მერი, საბასებურად — ვილაფრანკა, მაგრამ დღეს, საბასგან განსხვავებით, მთელი ჩემი ყურადღება მონაკოსა და მენტონისაკენ არის მიპყრობილი, რომელსაც ის მანტო-ქალაქს ეძახის.

დღეს დილით ნიცაში სპეციალურად ჩამოფრინდა საქართველოს ელჩი საფრანგეთში ეკა სირაძე-დელონე. ჩვენ მონაკოს პრინცის სასახლეში გველიან. გინდათ გაგიმხილოთ, რა ძირითადი განსხვავებაა ჩემსა და სულხან-საბას შორის? სულხან-საბამ მონაკოს მთავარს მიპატიჟებაზე უარი შეუთვალა, მეჩქარება და დაღლილი ვარო,

ჩემთვის კი თავად მონაკოს მთავარმა ვერ მოიცალა, თუმცა, საელჩოს შეხვედრის ორგანიზებისთვის ცდა არ დაუკლია!

საოცრად ამაყი ვიყავი, როცა სასახლის გვარდიელებმა ქალბატონი ეკა დიდი პატივით გაატარეს ყველგან, სადაც მან თავი ორად-ორი სიტყვით წარუდგინა:

საქართველოს ელჩი!

მეც ისე მივყევი,თითქოს მთლად სულხან-საბა თუ არა, მარტო სულხანი მაინც ვიყავი.

სასახლეში მონაკოს მმართველი მონარქის — პრინც ალბერ II-ს სახელით მიგვიღო მისი უმაღლესობის მრჩეველმა ქალბატონმა ენ-მარი ბუაბუვიემ. შეხვედრას ესწრებოდა მონაკოს სამთავროს არქივებისა და ბიბლიოთეკის დირექტორი ბატონი თომას ფუიერონი. მათ ყურადღებით მოისმინეს და ჩანიშნეს საბას მოგზაურობის მონაკოსთან დაკავშირებული ეპიზოდები.

ზუსტად 300 წლის წინათ, როცა სულხან-საბა მონაკოში ჩავიდა, მის პატივსაცემად შვიდჯერ დააქუხეს ზარბაზანი. შვიდჯერ დააქუხეს ზარბაზანი მაშინაც, როცა მან მონაკო დატოვა. მონაკოს იმდროინდელ მთავარს ანტონიო I-ს სულხან-საბა ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას შეხვედრია, აქ კი, მონაკოში, აკი უკვე ვთქვი, დაღლილობა მოუმიზეზებია და უარი უთქვამს მის მიპატიჟებაზე.

ჩვენს პატივსაცემად მონაკოში ზარბაზნები, რასაკვირველია, არ დაუქუხებიათ და, საერთოდაც, ის ზარბაზნები თავისი ჭურვებით დღეს მხოლოდ ტურისტების თვალის საამებლად არის გამოფენილი მონაკოს მთავრის სასახლის გვერდით. „სამაგიეროდ“, ქალბატონმა ბუაბუვიემ ალბერ II-ის სახელით ბოდიში მოგვიხადა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო ვიზიტის გამო პრინცმა თავად ვერ შეძლო ჩვენი მიღება. მონაკოს მთავრისთვის გადასაცემად ჩვენ მას დავუტოვეთ ჩვენი მოგზაურობის მემორიალური მოოქროვილი მედალი, რომელიც სულ 30 ეგზემპლარად დავამზადებინეთ და რომელიც ჩვენი პროექტის აქტიურ მონაწილეებსა და ჩვენს მასპინძელ მაღალი რანგის პოლიტიკოსებსა თუ ოფიციალურ პირებს გადაეცემათ.

კიდევ ერთი ასეთი მედალი იმავე საღამოს მენტონში მე თავად ეკა სირაძე-დელონეს გადავეცი ჩვენს პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის.

16 ივნისი
შეხვედრა მენტონში

16 ივნისს, საღამოს საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქ მენტონში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონემ ჩემი თავი თავის რომაელ კოლეგას, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იტალიაში კახა სიხარულიძეს „გადააბარა“, რომელიც ამ მიზნით სპეციალურად ჩამოვიდა რომიდან მეუღლესთან ერთად.

ეს სიმბოლური აქტი გახლდათ თვალსაჩინო ილუსტრაცია სხვაობისა სულხან-საბას დროინდელ ქართულ დიპლომატიასა და თანამედროვე საქართველოს დიპლომატიას შორის. ერთი მხრივ — მოგზაური, ეული ელჩი, რომელსაც თუმცა კი, ყველგან პატივით ხვდებიან, მაგრამ, რომელიც მოკლებულია ფართო დიპლომატიური საქმიანობის გაშლის შესაძლებლობას, და მეორე მხრივ — რეზიდენტი ელჩები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის — საფრანგეთსა და იტალიაში, ქვეყნებში, რომლებსაც სულხან-საბა და, მასთან ერთად, მისი აღზრდილი მეფე ვახტანგ მეექვსე იმედის თვალით უყურებდნენ.

ელჩებმა თავ-თავიანთ დედაქალაქებს მიაშურეს.

ხოლო ჩვენ, მე და ბონდო ქურდაძემ საფრანგეთი დავტოვეთ და იტალიისკენ ავიღეთ გეზი. ბონდო ვინ არისო, ვიღაცას უკითხავს ფეისბუქზე. ეტყობა, თავიდან არ ადევნებდა თვალს ჩვენს რეპორტაჟებს თუ პოსტებს. ბონდო სახელიანი ქართველი ჟურნალისტია, რომელიც თავის ოჯახთან ერთად ამჟამად პარიზში ცხოვრობს. მე მას დავით რიშარი დავარქვი. საბას მოგზაურობაში მეგზურად და თარჯიმნად ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მიერ მის თანამგზავრად დადგენილი ბერი დავითი ახლდა.

პირველი ქალაქი იტალიაში ვენტიმილია იქნება, მერე — ბორდიგერა, უფრო მერე — სან-რემო, რომელსაც საბა სენერემს უწოდებს. ღამით, ისევე როგორც საბა, ჩვენ დიანა-მარინოში დავრჩებით. ფოტოების გამოგზავნასაც იქიდან შევეცდები. ბევრია და ახლა არჩევას ვერ ვასწრებ. გზას ვადგავართ.

16 ივნისი
მუსიკა ნიცაში

სულხან-საბა რომ ნიცაში შევიდა, უკვე იტალიაში იყო, ჩვენ ნიცაში შესულები ჯერ ისევ საფრანგეთში ვართ. ნიცა საფრანგეთის რივიერის ყველაზე დიდი ქალაქია. საბას დროს იტალიისა ყოფილა. აქ ახლაც ბევრი იტალიელი ცხოვრობს. სასტუმროს მენეჯერიც იტალიელი იყო. ძალიან გაიხარა, ჩვენი ბუკლეტი რომ მივეცით. იქვე დაიწყო საბას იტალიური ტექსტის კითხვა. სასტუმროს მუსიკალური სახელი — „ადაჯიო“ ჰქვია. მის მოპირდაპირე მხარეს კი ასეთი მუსიკალური ქანდაკებაა.

ულამაზესი და ტრაგიკული

სულხან-საბასეული ლაფრანგა, ანუ დღევანდელი ვილფრანშ-სიურ-მერი მონაკოს სამთავროს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ყველაზე ტრაგიკული ადგილია. სწორედ აქ, ერთ-ერთ მოსახვევში დაიღუპა 1982 წელს პრინცესა გრეის კელი, მონაკოს დღევანდელი მონარქის დედა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ჯონ კელის ქალიშვილი, ამერიკელი კინოვარსკვლავი, ოსკარის მფლობელი. მისი დაღუპვის ადგილას დღეს ეს მემორიალია.

მეტეხი მონაკოში

„მოვედით მონაკო ქალაქსა, — წერს საბა, — ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავითა. სამგნით ზღვა ევლო, ცალგნით — ვიწრო შესავალი. მაგარი ციხე, დიდად და ძლიერად გამაგრებული. გარემო ორ რიგად ზარბაზანი იდგა“.



მონაკოსკენ მიმავალმა მე ვნახე ეს კლდე, ოღონდ არა ზღვიდან, არამედ ხმელეთიდან. მართლა ჰგავს მეტეხის კლდეს! მასაც გადავუღე სურათი და მეც გადავიღე ფოტო მის ფონზე. ასე გაცოცხლდა საბას ერთი ფრაზა, რომელიც მკითხველს იქნებ მხოლოდ ხატოვანი რამ შედარება ეგონა.

შილინგი

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „შილინგი“ სასიხარულო თოფ-ზარბაზნის სროლაა. მონაკოში საბას ზარბაზნის შვიდი ზალპით შეგეგებიან და შვიდი ზალპით გამომშვიდობებიან. დღეს ეს ზარბაზნები თავისი ჭურვებით მონაკოს სამთავროს სასახლის წინ გაუწყვიათ ტურისტების სასეიროდ. მაგრამ ჩემთვის ეს მონაკური ზარბაზნები სულაც არ არის სასეირო. ჩემთვის ისინი გაცილებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვიდრე, ვთქვათ, მონტე-კარლოს საქვეყნოდ ცნობილი კაზინო, აქედან რომ მოჩანს გაღმა. საშილინგოდ გამზადებული ეს ზარბაზნები ჩემთვის სულხან-საბას ტექსტის ილუსტრაციაა.

17 ივნისი
ვემშვიდობები საფრანგეთს

საბა ამ ადგილებში გემით მოძრაობდა, ჩვენ მას მანქანით მივდევთ... 300 წლის შემდეგ. მან მანტო-ქალაქი, ანუ მენტონი 17 ივნისი რომ უნდა გათენებულიყო, მაშინ დატოვა, ჩვენ — უკვე კარგა გვარიანად გათენებულზე. თან ერთხელ კიდევ გადავავლეთ თვალი დღევანდელი საფრანგეთის ამ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის ქალაქს. თანაც ჩვენი, ანუ საბას იტალიური მარშრუტი დავაზუსტეთ. ღამე იყო და სენერემამდე, ანუ სანრემომდე ვერაფერი ვნახეთო, — საბა წერს. ჩვენ სანრემომდე ვენტიმილია და ბორდიგერა გავიარეთ. ბორდიგერიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს სებორგა. 2004-ში ვიყავი სებორგაში. ეს ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია ევროპაში — დამოუკიდებელი სამთავრო, რომელიც თავის მონეტას ჭრის და თავის მარკებს ბეჭდავს. რაც შეეხება სანრემოს, სახელი უფრო კარგი და ლამაზი აქვს, ვიდრე თავად ქალაქია!

თუმცა, ამაზე უკვე ხვალ.

19 ივნისი
სებორგა

ბორდიგერადან რამდენიმე კილომეტრზე მდებარე სებორგა ჩემი სისუსტეა! აღარ მახსოვს, პირველად როდის გავიგე იტალიურ რივიერაზე მდებარე ამ პატარა სოფლის ამბავი, მაგრამ ჩემს სამოგზაურო მარშრუტებში მუდამ ერთ-ერთი ყველაზე საოცნებო და სასურველი იყო, ვთქვათ, იმათე ტაიტისთან, აღდგომის კუნძულთან, გვადელუპასთან თუ პიტკერნთან ერთად. პირველად სებორგაში 2006 წელს მოვხვდი. მოვხვდი რა, — ერთი დღით მივატოვე ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, მატარებლით ბორდიგერაში ჩავედი და იქიდან — ტაქსით ავედი სებორგაში. მომცრო მთის წვერზე შეფენილი ეს სოფელი ერთგვარი ციხე-სიმაგრეა, რომელიც თავისი სტრუქტურით ქართველ კაცს შატილს მოაგონებს. მაშინ სებორგის მთავარი ჯორჯო I იყო, ხოლო სამთავროს საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ ფერარი გახლდათ, რომელიც პარალელურად რესტორანს ფლობდა სებორგაში და ოფიციანტობასაც ითავსებდა. სებორგის საფირმო კერძი — კურდღლის ჩახოხბილი რომ მომართვა, ზედ თავისი სადარბაზო ბარათიც მოაყოლა, რომლის ერთ მხარეზე იგი საგარეო საქმეთა მინისტრად იყო წარმოდგენილი, მეორე მხარეზე კი — რესტორატორად.

60-იანი წლების დასაწყისში სებორგელ მეყვავილეთა კოოპერატივის თავკაცმა ჯორჯო კარბონემ საგანგებოდ შეისწავლა იტალიის გაერთიანებისდროინდელი საბუთები და აღმოაჩინა, რომ სებორგას — ერთადერთს იტალიის სამთავროთაგან — ხელი არ ჰქონია მოწერილი იტალიაში გაერთიანებაზე. ამის საფუძველზე სებორგელებმა 1963 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და სებორგის მთავრად, უფრო სწორად — პრინჩიპედ, ანუ პრინცად ჯორჯო კარბონე აირჩიეს ჯორჯო I-ის სახელით. მან შექმნა სებორგის პარლამენტი და მთავრობა, დაწერა კონსტიტუცია, შექმნა გერბი, დროშა და ჰიმნი, მოჭრა საკუთარი მონეტები, გამოუშვა საფოსტო მარკები... ჯორჯო 2009 წელს გარდაიცვალა 73 წლისა. მისი ძალისხმევით სებორგა ყველაზე სახელგანთქმულ ვირტუალურ სახელმწიფოდ იქცა, თუმცა, ეს ვირტუალურობაც უკვე პირობითია, რადგან სებორგა 20-მდე სახელმწიფომ აღიარა. მათ შორის, რა თქმა უნდა, არ არის იტალია, რომელიც ამ ყველაფერს ძალზე

კვალდაკვალ ევროპაში

მსუბუქად უყურებს და ერთგვარ ტურისტულ-სარეკლამო ატრაქციონის დონეზე განიხილავს.

სულხან-საბა ორბელიანი სებორგაში არ ყოფილა, თუმცა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ იმ მრავალრიცხოვან მთავართა შორის, რომელთაც იგი იტალიაში თავისი ხანგრძლივი მოგზაურობისას შეხვდა, სებორგის მთავარიც ყოფილიყო. საბას დროს ამ საკმაოდ ძლიერ სამთავროს სავოის დინასტიის ერთ-ერთი პრინცი ედგა სათავეში.

18 ივნისს სულხან-საბა და მისი თანამგზავრები გენუას მიუახლოვდნენ, მაგრამ ქალაქში ვერ შევიდნენ, შემოაღამდათ. ქალაქში მხოლოდ დილით შევიდნენ. „ჯენევიას ველარ შევაღწიეთ, ღამემ გვისწრა. ჯენევიას ზეიდამ ერთი სოფელი იყო. იქ დავდეგით“, — წერს საბა.

მე ბევრი ვიფიქრე, სად, რომელ სოფელში უნდა გაგვეთია ის ღამე, სანამ დილით გენუაში შევიდოდით. ერთხანს მანქანაში ღამისთევასაც ვფიქრობდით, სადმე ზღვის სიახლოვეს. აკი პარიზში საამისოდ საძილე ტომრებიც კი ვიყიდეთ. მაგრამ მერე ჩემი ის ძველი სისუსტე გამახსენდა: რატომ არ შეიძლება, ის უცნობი სოფელი „გენუის ზეიდამ“ სებორგა იყოს? მერე რა, რომ იმ სავარაუდო უცნობი სოფლიდან სებორგამდე მთელი 150 კილომეტრია? რა არის ეს მანძილი ჩვენი ერთგული „რენო-ესპეისისთვის“? ბონდომაც სიხარულიით მიიღო იდეა.

ჰოდა, ის ღამე სებორგაში გავათიეთ, ერთ უძველეს კოშკში, რომელიც შიგნიდან შუასაუკუნეების რაინდების გამოსახულებებით იყო მოხატული. წინა საღამოს სინიორ ფერარის ყოფილ რესტორანში ვისხედით და კურდღლის ჩახოხბილს შევექცეოდით იტალიურ ლუდ „მორეტისთან“ ერთად. რესტორანს დღეს მამა-შვილი ვინჩენცო და როკო მანტენიები განაგებენ. საღამოხანს ტურისტები რომ ბორდიგერისკენ დაიძრნენ და ჩვენ რომ გვიანობამდე შევრჩით ჩვენი ფოტო-ვიდეოაპარატურით, მამა-შვილი ჩვენი ვინაობით დაინტერესდა. ვუთხარით, ვინც ვიყავით, რა გზასაც ვადექით. ჩვენი ეს ლამაზი წიგნებიც მივართვით. როკომ, რომელმაც მანამდე უარი მითხრა თხოვნაზე და რესტორნის მენიუ არ მომყიდა, ახლა თავისი ხელით გამომიტანა მენიუს ახალთახალი ეგზემპლარი და მაჩუქა. მერე ენცომ სებორგის ერთი ახალი მონეტა მომცა ახალი პრინცის გამოსახულებით.

იქვე ერთი ხანდაზმული კაცი იჯდა, სიგარეტს საგარეტზე ეწეოდა და ლუდს წრუპავდა. მასაც მივეცით ჩვენი გამოცემა და სადარბაზო ბარათი. გვარი და სახელი ვკითხე, რომ წიგნზე წარწერა გამეკეთებინა. ჯულიანო ფოლიარინო ვარო. მერე როკოს უთხრა, მუზეუმი აჩვენეო. როკომ იქვე, რესტორნის ქვემოთა სართულზე ჩაგვიყვანა და ხის ტოტებისგან „აშენებული“ შუასაუკუნეების ქალაქი გვაჩვენა თავისი კოშკებით, ეკლესიებითა და სასახლეებით. რამდენიმე ათეული ნაგებობა იყო, უნატიფესი ოსტატობით შესრულებული. სწორედ ჯულიანო ყოფილა ამ ყველაფრის შემოქმედი. ეს მუზეუმი სულაც არ არის ჯულიანოს მთავარი მუზეუმიო, — ამიხსნა როკომ იტალიურ-ინგლისური ჟესტიკულაციით, — მუსიკალური ინსტრუმენტების კოლექცია აქვსო. რესტორანში რომ დავბრუნდით, ჯულიანოს მადლობა მოვახსენეთ და ბონდოს ვთხოვე, მანქანიდან ვისკი მოეტანა. ჯულიანომ ჯერ იუარა, მაგრამ მერე ძალიანაც კარგად მიირთვა. პენსიაში გასვლამდე ისიც, ჯორჯო I-ისა არ იყოს, მეყვავილე ყოფილა. ახლა 66 წლისაა. 53 წლის ბონდოს ასაკი რომ გაიგო, სულ ბამბინო ეძახა. მერე ჯულიანო იმ თავისი მთავარი მუზეუმისკენ გაგვიძღვა.

ეს კი მართლა საოცრება იყო! მუსიკალური ინსტრუმენტების, მუსიკალური აპარატების და ფირფიტების ამგვარი უნიკალური კოლექცია მე არსად მინახავს! არც არსად არისო, ყოველ შემთხვევაში, იტალიაში ბადალი არ მოეძებნებაო, — ჯულიანომ.

იტალიურად „ვლაპარაკობდით“.

ერთი ცნობილი ანეკდოტია: გურულს ეკითხებიან, ფრანგული თუ იციო. ის ცოტა ხანს დაფიქრდება და მეცოდინება ალბათო, მიუგებს.

გურული არ ვარ და არც ფრანგული მეცოდინება (ალბათ), მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საყველპურო იტალიური მეც მცოდნია! იმდენი ლათინურ-იტალიური სიტყვაა შესული საერთაშორისო ლექსიკონში, რომ თუ ცოტა ხელებსაც მიახმარ, შეგიძლია სებორგაში ჯულიანო ფოლიარინოს თავისუფლად ესაუბრო „იტალიურად“ მისი მუზეუმის უნიკალურობაზე და ისიც შეპირდე, რომ თბილისიდან აუცილებლად გამოუგზავნი მას ძველ ქართულ ფირფიტებს, რომ თავის მუზეუმში ქართული ვიტრინაც მოაწყოს, ფრანგული, გერმანული, ამერიკული თუ მოლდავური ვიტრინების მსგავსად. პირველი ექსპონატები ამ ვიტრინისთვის მე მას მეორე დილითვე გადავეცი — ეს გახლავთ საქართველოს პატარა დროშა და სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის სამახსოვრო მედალი. წიგნი უკვე ჰქონდა. მის შესახებ საგაზეთო თუ საჟურნალი პუბლიკაციასაც შევპირდი.

მეორე ასეთი მედალი წამოსვლისას სებორგის ახალ მთავარსაც გადავეცით. ჯორჯო I-ის სიკვდილის შემდეგ პრინჩიპეს პოსტზე ორი კანდიდატურა ყოფილა — მარჩელო მენეგატო და ჯან-ლუიჯი მორგია. 2010 წლის 25 აპრილს გამართულ არჩევნებში მენეგატომ გაიმარჯვა 87 ხმით 67-ის წინააღმდეგ და იმავე წლის 22 მაისს იგი ოფიციალურად გახდა სებორგის პრინცი მარჩელი I-ის სახელით. მარჩელო ანუ მარჩელინო, როგორც მას ჩვენი „სასტუმროს“ დიასახლისი რომინა ეძახდა, 36 წლისაა. მამამისი ტექსტილის ცნობილი მეწარმეა. მარჩელინო ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა წყალ-სამოტორო სპორტით. 19 წლის ასაკიდან მონაკოს სახელით გამოდიოდა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ოთხჯერ მოიგო ევროპისა და ხუთჯერ იტალიის ჩემპიონატები. 2000 წლის ნოემბერში მონაკოს მთავარმა რენიე III-მ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა ფიზიკურ განათლებასა და სპორტში მიღწეული წარმატებებისათვის. კარგად ლაპარაკობს ფრანგულად და ინგლისურად. შვეიცარიაში, მონტროში სწავლის დროს გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე — ნინა დიობლერი — დღეს სებორგის პრინცესა და ვალტერ ფერარის მემკვიდრე — ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი.

გაიგო რა ჩვენი იქ ყოფნის ამბავი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, იგი წინა საღამოს არაოფიციალური ვიზიტით გვეწვია მანტენიების რესტორანში. მე მას ჩვენი თავი წარვუდგინე და მეორე დილისთვის თავის მაღაზიაში მიგვიწვია.

სებორგიდან წამოსვლისას მართლა შევიარეთ პრინცესას მაღაზიაში. მან საჩუქრად სებორგის ბუკლეტი და რამდენიმე ღია ბარათი მაჩუქა. რამდენიმე სხვა ბარათი და ერთი მოზრდილი ალბომი კი ვიყიდე. რაც მთავარია, პრინცესის მაღაზიაში აღმოჩნდა ერთი უნიკალური სებორგული მონეტა, რომელიც მე იმ დილით, როცა საკოლექციო ნივთებით მოვაჭრე ერთადერთ სებორგულ მაღაზია „შევალიეში“ ვერ ვიყიდე.

ჰო, დამავიწყდა: რამდენიმე სებორგული ფილატელისტური იშვიათობა წამოსვლის წინ ჯულიანო ფოლიარინომაც მაჩუქა, ხოლო პრინჩიპე მარჩელო I-მა — თავისი ფოტო მაჩუქა სამახსოვრო წარწერით.

ტექსტი საკმაოდ მოზრდილი გამოვიდა, მაგრამ, ვფიქრობ, დამღლელი არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, სებორგის ამბის მოყოლისას მუდამ ინტერესით მისმენენ ხოლმე. ერთი ჩემი მეგობარი კი ჩემი მონათხრობის შემდეგ სპეციალურად ავიდა სებორგაში და ვალტერ ფერარის რესტორნიდან დამირეკა თბილისში მადლობის სათქმელად!

ხოლო საბას ტექსტიდან ეს მცირე არალირიკული გადახვევა საკმაოდ ვრცელ ტექსტად ჩამოყალიბდა. რას იზამ, — ამ სიჩქარეში ზოგი ტექსტი ვრცელი გამოვა, ზოგი პატარა. ბალანსის დაცვას წიგნში შევეცდები, რომელიც ამ მოგზაურობის შედეგად დაიწერება.

20 ივნისი
ყვავილოვანი რივიერა

ისე მოხდა, რომ სულხან-საბა ორბელიანმა ხმელთაშუა ზღვის რივიერის დიდი ნაწილი გაიარა, თუმცა, მაშინ ამ ადგილებს არც რივიერა ერქვა, არც ასეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი და არც ასეთი პოპულარული იყო.

სახელი და პოპულარობა კი ამ ადგილებს აქაურმა კლიმატმა და წელიწადში 300-მდე მზიანმა დღემ მოუტანა. ეს 300-მდე მზიანი დღე 300 წლის წინათაც 300-მდე მზიანი დღე უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაშინ ასეთ ღირსებებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და, ბუნებრივია, არც საბას აღუნიშნავს თავის დღიურში.

„რივიერა“ იტალიური სიტყვაა. თუმცა, კავკასიის რივიერაც არსებობს, თურქეთისაც და ყირიმისაც, თავისი წარმოშობით ეს სიტყვა სწორედ იმ ადგილებს უკავშირდება, სადაც 300 წლის წინათ საბამ გაიარა და სადაც ახლა ამ ტექსტს ვწერ. ასე უწოდებენ ლიგურიის ზღვის უმშვენიერეს სანაპირო ზოლს, რომელიც საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიაზეა გადაჭიმული კანიდან სპეციამდე თავისი მონაკოთი. ზოგჯერ რივიერის ნაწილად მოიაზრებენ, აგრეთვე, მონაკვეთს კანიდან ტულონამდე.

რივიერის ფრანგულ ნაწილს ლაჟვარდოვან სანაპიროს უწოდებენ. ეს ზუსტი სახელი ნაკლებადცნობილ ფრანგ მწერალს სტეფან ლიეჟარს ეკუთვნის, რომელმაც 1870 წელს გამოცემულ თავის რომანს სწორედ „ლაჟვარდოვანი სანაპირო“ დაარქვა სათაურად.

იტალიურ რივიერას „რივიერა დეი ფიორი“ — „ყვავილოვანი სანაპირო“ ეწოდება. იგი ორ რაიონად იყოფა — საფრანგეთის საზღვრიდან გენუამდე მონაკვეთს რივიერა-დი-პონენტე ჰქვია, გენუიდან სპეციამდე მონაკვეთს კი — რივიერა-დი-ლევანტე.

ჩვენ რივიერა-დი-პონენტე მთლიანად გავიარეთ და ახლა გენუაში ვართ.

ეს ლიგურიაა. ლამის გურია. ერთი, უნდა ვთხოვო ორ ჩემს გურულ მეგობარ პარლამენტარს — თემურ ჭკუასელს და ზვიად კვაჭანტირაძეს, რომ გურია და ლიგურია დაამეგობრონ ერთმანეთს. არა მარტო რითმისთვის, რა თქმა უნდა.

იტალიაში გადმოსულებმა უკან მოვიტოვეთ ქალაქები: ვენტიმილია, ბორდიგერა, სანრემო, იმპერია, დიანო-მარინა, ალასიო, ალბენგა, ლოანო, ფინალე-ლიგურე, ნოლი და სავონა. ვენტიმილიასა და ბორდიგერას საბა საერთოდ არ ახსენებს, რადგან მენტონიდან ღამით გამოსულან, ეს ორი ქალაქი სიბნელეში ჩაუვლიათ და ვერ დაუნახავთ. სანრემოს საბასთან სენერემ-ქალაქი ჰქვია, დიანო-მარინას — დინა, ალასიოს — არასიო, ალბენგას — არბენქო, ლოანოს — ვანია, ფინალე-ლიგურეს — ფინი, ნოლის — ნორი და სავონას — საონა. რაც შეეხება იმპერიას, იგი საბას დროს არ არსებობდა. იმპერია იტალიის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია. 1923 წელს, როდესაც ამ ტერიტორიაზე მდებარე ორი ანტიკური ქალაქი — პორტო-მაურიციო და ონელია, ფაქტობრივად, ერთ ქალაქად შეერთდა, გადაწყდა, მათ საფუძველზე ახალი ადმინისტრაციული ერთეული შეექმნათ. შეიძლება ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ იმპერიული ამბიციებით აღსავსე მუსოლინის სხვაგვარ ფიქრებს აღუძრავდა აქაური მდინარის სახელი — იმპერო. იმპერია ახალ ქალაქს სწორედ მუსოლინის კარნახით დაერქვა. პორტო-მაურიციო და ონელია კი ახალი ქალაქის უბნებად იქცნენ, თუმცა, სახელები შეინარჩუნეს.

ხოლო საბა პორტო-მაურიციოს და ონელიას ფიორტუმორის და ონელის უწოდებს.



დღეს ყველა ეს ქალაქი პოპულარული საკურორტო ცენტრია და თუმცა, ზაფხულის სეზონი ჯერ არ გახურებულა, მათი ულამაზესი პლაჟები და სანაპიროები დამსვენებლებითა და ტურისტებით არის სავსე. ჩვენ დასვენებისა და ტურიზმისათვის არ გვცალია, ნიცაში რომ გავფართხალდით ერთხელ „ზრდილობისთვის“, ეს იყო და ეს.

ნეტა საბამ თუ იბანავა ზღვაში? საერთოდ თუ იყო მაშინ ზღვაში ბანაობის კულტურა, როგორც ასეთი? უცებ წარმოვიდგინე სულხან-საბა ორბელიანი საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი და, ვთქვათ, დიანო-მარინას პლაჟზე წამოწოლილი და... ჩემი ამ თითქმის მკრეხელური წარმოდგენისა შემრცხვა. კიდევ კარგი, სწორედ ამ დროს გზაზე ეკლესია გამოჩნდა და ბონდოს მანქანა გავაჩერებინე, ეკლესიას სურათი უნდა გადავუღო-მეთქი.

თუმცა, ჩემს ირგვლივ ათასობით საინტერესო ფოტოკადრია გამოფენილი, მე ვცდილობ, მათგან ისინი დავიჭირო, რომლებმაც საბას დროიდან მოყოლებული ნაკლებად იცვალეს ფერი თუ შინაარსი. ზოგიერთ ქალაქში ეს ძალიან ადვილია, ზოგიერთში — ძალიან ძნელი, ერთ-ორში — თითქმის შეუძლებელი.

დღესაც კარგი ჩამო(ს)ქროლვა გამოვიდა. იმ ჩამო(ს)ქროლილ ფრანგულ ქალაქებს რომ არ ეწყინოთ, იტალიური რივიერის ქალაქებიდანაც მხოლოდ თითო კადრს ვაგზავნი ჩვენი გვერდისთვის. ვერ ვიტყვი, რომ ეს ფოტოები საუკეთესოა. შეიძლება, უკეთესიც იყოს. უბრალოდ, ამ უდროობაში არც გადარჩევის დრო მქონდა და არც კადრირებისა თუ დამუშავების.

პაატა ნაცვლიშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ყირიმული გაკვეთილები: ამერიკა საქართველოს ეხმარება, აფხაზეთი კი დაივინყა

ჟურნალ „ფორინ პოლისში“ დაბეჭდილია პოლიტოლოგების ლინკოლნ მიტჩელისა და ალექსანდრე ქულის ანალიტიკური სტატია, რომელშიც ავტორები პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის პოლიტიკას „არასისტემურად“ მიიჩნევენ.

ზეთი სულ უფრო მეტად უახლოვდება რუსეთს, — აღნიშნავენ სტატიის ავტორები.

ბრიუსელი და ვაშინგტონი უკვე დიდი ხანია, უარს ამბობენ აფხაზეთის მთავრობასთან რაიმე კონტაქტების დამყარებაზე. ასეთ ვითარებაში ოპოზიციასთან კავშირებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მიზეზი ისაა, რომ დასავლეთის მთავრობებს არ სურთ რაიმე ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც, შესაძლოა, სეპარატისტული მთავრობების ლეგიტიმურობის აღიარებად აღქმულიყო“, ისინი ხომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

ასეთი პოზიცია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ ვაშინგტონის სტრატეგიული პოლიტიკის საერთო კურსის შემადგენელი ელემენტია, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მათი „დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის“ განმტკიცებაში და დასავლურ ორგანიზაციებთან ინტეგრაციაში გამოისატება. მაგრამ ბოლო მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ „ასეთ სტრატეგიას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს: გამოავლინა რა აგრესიული და მადესტაბილიზებელი როლი, მოსკოვმა რეგიონული და ეთნიკური უმცირესობანი საქართველოს და უკრაინის დასანაწევრებლად და ორივე ქვეყნის ტერიტორიების გასაკონტროლებლად გამოიყენა. სწორედ ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ და შეიმუშაონ ამ პრობლემისადმი „კომპლექსური მიდგომა“ და გაერკვნენ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების დეტალებში — ეს უნდა გახდეს პირველი ნაბიჯი სეპარატისტულ რეგიონებში დასავლეთის გავლენის აღდგენის მიზნით, — მიუთითებენ ავტორები.

ყირიმსა და აფხაზეთს „რთული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ იმ სახელმწიფოების ხელისუფლებასთან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი აღმოჩნდნენ (თბილისისა და კიევის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ)“, — აღნიშნავენ ავტორები, — **„ამ რეგიონების მოსახლეობას უფრო კარგი ურთიერთობა რუსეთთან ჰქონდათ. რაც შეეხება კონკრეტულად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ისინი საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან აღარ ემორჩილებიან, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილისათვის ისინი იყვნენ, არიან და დარჩებიან საქართველოს შემადგენელ ნაწილებად“.**

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, ვაშინგტონის სრული მხარდაჭერით, მიიღო კანონი ე.წ. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც, ლ.მიტჩელისა და ა.ქულის აზრით, „კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა“, რადგან ამ სამართლებრივი აქტით მესამე ქვეყანას აეკრძალა რაიმე მოქმედების განხორციელება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, თბილისის ნებართვის გარეშე. ამასობაში კი რუსეთმა „ორივე რესპუბლიკა მთლიანად ხელში ჩაიგდო, მათთან ორმხრივი ხელშეკრულებები“ გააფორმა, რომელთა საფუძველზე მოსკოვმა აფხაზურ და ოსურ სახელმწიფო ინსტიტუტებზე დე ფაქტო სრული კონტროლი მიიღო.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ისეთი ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ, რომლებსაც რუსებთან ძალიან ცოტა რამ აქვთ საერთო. სწორედ ეს განასხვავებთ მათ ძირითადად ყირიმისაგან, რომლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად ეთნიკური რუსი და რუსულენოვანია“. ყირიმის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ აქ რუსეთის სამხედრო ყოფნის დონე ძალიან მაღალია - ჯერ კიდევ 1991 წლიდან სევასტოპოლში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზაა დისლოცირებული. თუმცა, ობიექტურად რომ ითქვას, ყირიმის ანექსია ამ ფაქტორმა კი არ გამოიწვია, არამედ უკრაინის ახალი ხელისუფლების პროდასავლურმა კურსმა: ადგილობრივმა რუსულენოვანმა მოსახლეობამ როგორც კი ცენტრალური ხელისუფლების პროდასავლური ინიციატივები გაიგო, „მხურვალედ მიესალმა რუსეთის ჩარევას და ნებაყოფლობით დათმო რეფერენდუმით მოპოვებული თავისი სუვერენული სტატუსი, ანუ რუსეთს შეუერთდა“, — აღნიშნავენ ავტორები.

ამ თვალსაზრისით ვაშინგტონის ძირითადი შეცდომა გახდა აფხაზთა სურვილებისა და მიზნების უგულებელყოფა. ამერიკის ხელისუფლებამ აირჩია „სტრატეგიული თმენის“ პოლიტიკა და გადაწყვიტა, რომ თუ საქართველოს აყვავებულ და დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევაში დაეხმარებოდა, მაშინ აფხაზები თვითონვე მოისურვებდნენ აყვავებულ და დემოკრატიულ საქართველოში დაბრუნებას. პრაქტიკაში კი ეს იმას ნიშნავდა, რომ ვაშინგტონი „არაფერს აკეთებდა“ სოხუმთან საკონტაქტოდ და მხოლოდ კრიტიკულ განცხადებებს გვასმენინებდა, რომლის თანახმად, რეგიონში ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმურად ითვლებოდა. იგივე სტრატეგიას მიმართავდნენ ამერიკელები ყირიმის მიმართადაც.

აშშ-ის ასეთი პოზიცია გამომდინარეობს ვაშინგტონის პოლიტიკიდან, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას გულისხმობს — მათი დასავლურ სტრუქტურებში — ნატოსა და ევროკავშირში ჩართვის გზით. მართალია, ამ სტრატეგიამ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მიმართ გაამართლა (ისიც იმიტომ, რომ ამ პატარა სახელმწიფოებში პროდასავლური განწყობა ისტორიულად ძალიან ძლიერი იყო), მაგრამ უკრაინასა და საქართველოში კრახი განიცადა — იმ მიზეზით, რომ ვაშინგტონი სეპარატისტულ ტერიტორიებს სათანადო ყურადღებას არ აქცევდა.

ამერიკის ხელისუფლებამ არ მოისურვა აფხაზთა მოთხოვნილებებისა და სურვილების გათვალისწინება, არადა, „ეთნიკური აფხაზების 79%-ს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება სურს“. გარდა ამისა, მაინც და მაინც სწორი არ აღმოჩნდა ამერიკული დიპლომატიის ერთ-ერთი კომპონენტიც: მართალია, ვაშინგტონი თბილისს აქტიურად მხარს უჭერდა აფხაზური დამოუკიდებლობის შეზღუდვაში (იმდენად, რამდენადაც მისი დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის აგრესიის გამართლებას ნიშნავდა), მაგრამ ამის მიუხედავად, ამერიკას უფრო დაბალანსებული კურსი უნდა აერჩია აფხაზურ საზოგადოებასთან დაახლოების მიზნით. ამერიკელ ოფიციალურ პირებს შეეძლოთ აფხაზეთში ჩასვლა, ისინი კი ნაბიჯს არ დგამდნენ, პირიქით, ხელს უშლიდნენ აფხაზ ჩინოვნიკებს დასავლეთთან კონტაქტებში.

ამგვარი შეცდომების გამო ამერიკა რეგიონში ნეგატიურ შედეგებს ღებულობს: ყირიმისა და აფხაზეთის მოვლენებს არათუ შეუძლიათ ჩაშალონ ან გაართულონ ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა, არამედ ასევე შეუძლიათ სამხრეთ ოსეთს კვლავ გაუღვიძონ რუსეთისათვის მიერთების სურვილი, — ხაზს უსვამენ ავტორები.

რა თქმა უნდა, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ ამერიკის პოლიტიკის შეცდომები არ შეიძლება რუსეთის აგრესიის გამართლებად ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, მოსკოვს ძალიან ძვირი დაუჯდება ის სამხედრო ოპერაციები და მხარდაჭერა, რომელიც მან თავის პოლიტიკურ კლიენტებს აღმოუჩინა, — ასკვნიან ავტორები, — **მაგრამ აფხაზური დემონსტრაციები და დასავლეთის უუნარობა (მათზე ზეგავლენის მოსახდენად), ამერიკისა და მისი ნატოელი მოკავშირეებისათვის გამოსაფხიზლებელი უნდა იყოს. მათ უნდა გადახედონ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს“.**

დედამიწის ზურგზე

„ექიმები საზღვრის გარეშე“: ებოლის ციების ეპიდემია დასავლეთ აფრიკაში კონტროლიდან გამოვიდა და მთელ კონტინენტს ემუქრება

ამჟამინდელი ეპიდემიის მასშტაბები უპრეცედენტოა: დასნებოვნების 60-ზე მეტი კერა სამ ქვეყანაშია, ასობით ადამიანია დაზიანებული ვირუსისაგან. ორგანიზაციაში „ექიმები საზღვრის გარეშე“, რომელიც ერთადერთია, დაავადებულებს რომ უწევს დახმარებას, აცხადებენ, რომ თანამშრომლები ყველა ინფიცირებულთა მკურნალობისათვის უკვე აღარ ჰყოფნით. ამ დროს იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, სადაც ეპიდემია მძვინვარებს, არ სურთ აღიარონ უბედურების მასშტაბები.

* * *

ლუგანსკის ოლქში ააფეთქეს რკინიგზა, ზაპოროჟიეში კი — სარკინიგზო ხიდი.

აფეთქებების შედეგად არავინ დაღუპულა. შეფერხებები მატარებლების მოძრაობაში ლუგანსკის ოლქში არაა, თუმცა, შესაძლებელია სამგზავრო შემადგენლობის დაყოვნება მოსკოვიდან. ზაპოროჟიეში ხიდის აფეთქების შედეგად მატარებლების მოძრაობა ხაზზე მთლიანად შეწყვეტილია.

* * *

ჩინელი მილიარდერი ნიუ-იორკში აწყობს ღრეობას ბომბების და ჯარისკაცისფორმიანი ოფიციანტებისათვის

ღონისძიება გაიმართება ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში. დაახლოებით ასი ოფიციანტი ჩაცმული იქნება ჩინეთის კომუნისტური პროპაგანდის გმირის ლეი ფენის ტანსაცმელში, დანარჩენი 50 — ტანსაცმელში, რომელიც მოგვაგონებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის თანამედროვე ფორმას. ყოველ ფორმაზე ამოქარგული იქნება სიტყვები „ვემსახურები ხალხს“.

* * *

მარსმავალმა CURIOSIY-მ გადაიღო SELFIE წითელ პლანეტაზე ყოფნის წლისთავზე ადგილობრივი დროით

რობოტმა პლანეტაზე უკვე 687 ზამთრის დღე-ღამე გაატარა. სანამ მარსმავალი შრომობს მისიის შესრულებაზე, დედამიწაზე ამუშავებენ მარსის კოლონიზაციის ამბიციურ გეგმებს და განიხილავენ, არის თუ არა შესაძლებლობა, აღმოაჩინონ „ძმები გონების“ მიხედვით მზის სისტემაში.



კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● თავისი სიტყვის პატრონი ხელისუფლება გვყავს. ჯერ მოგვცა სიტყვა, მერე უკან წაიღო. მისია და როცა უნდა მოგვცემს, როცა უნდა, წაიღებს.

● ვიძიწე ლი, თურმე სახელფასო დანამატებზე და პრემიებზე რეგულაციების გამკაცრება სახელმწიფო სტრუქტურებიდან პროფესიონალი კადრების გადინებას გამოიწვევს. მშიერი ხალხის ქვეყნიდან გადინებაზე იფიქრებს ოდესმე ვინმე? ადამიანი 10 000-ლარიან სამსახურს იმიტომ რომ დატოვებს და გაიბუტება, ზევიდან 30 000 პრემიას აღარ მაძლევთ თვეშიო, ის უსინდისოა და არა პროფესიონალი, ეტა რას! მეორე კიდევ, როგორც ხალხს მოუწოდებთ მოთმინებისკენ, ისე მოუწოდეთ მაგ „პროფესიონალებსაც“, „გაიჭირვონ“ და როცა ქვეყანას აყვავებენ, მერე გაუსწორეთ ანგარიში.

● გივი თარგამაძე შემხვდა იტალიის წაგების შემდეგ. ისეთ დღეშია – დანა პირს არ უხსნის.

● ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე, ბრიჯიტ ბრინკი, ცოცხალი შესრულებით თუ გინახავთ?

ახლა ვნახე და ნეტავ არ მენახა.

კიდევ უფრო შემაყვარა პოლიტამერიკა და ვეღარ უძლებს ჩემი პატარა გული ამხელა სიყვარულს.

რასაც ჩვენთან საარსებო მინიმუმი ჰქვია, ნორვეგიაში 2 100 ევრო, ანუ 4 500 ლარი ყოფილა, ოღონდ იქ მას „საარსებო მინიმუმი“ არ ჰქვია, რადგან ეს დამამცირებელი იქნებოდა ადამიანებისთვისო.

რასაკვირველია, მე რომ ვინმემ თვეში 4 500 ლარი მომცეს და მითხრას, საარსებო მინიმუმს გაძლევო, თუ ცოცხალი გადამირჩა, უცემ-უგინებელი ვერ გამასწრებს.

მე ჩემი ამაგი მაქსიმუმი – 150 ლარი მაქვს, რასაც დამსახურებული პენსია ჰქვია!

ნორვეგიელებო - წაიკითხეთ და აღივსეთ შურით!

● თითქმის ყოველდღე და ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე, ქვეყნდება საზოგადო მოღვაწე თამარ ჟვანიას სარეკლამო გვერდი.

ნახევარი საქართველო (თუ მეტი არა) საზოგადო მოღვაწეა და ყველამ, ყოველ ცისმარე დღეს რომ ტვირთოს ფბ თავისი სათაყვანები ნამოღვაწარით, ეგრე სადააო. ერთხელაც აქაურობის პატრონი გამოგვიკეტავს დუქანს და დაგვტოვებს ხახამშრალს, როგორც საზოგადო მოღვაწეებს, ასევე უღვაწებსაც.

ადამიანებო, ვიყოთ ფხიზლად და თავმდაბლად!

● საიდანაც მოიყვანა ეს ქალბატონი, ისევ იქ წაიბრძანოს „15-მა არასამთავრობომ“ , ენები რომ აქვთ მხარზე გადასისინებული!

● თქვენ, როგორც ვხვდები, 2016-ში აღარ გინდათ ხელისუფლებაში დარჩენა?!

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – ქალბატონ თამარ ჟვანიას, თანამდებობაზე დანიშვნიდან სულ რაღაც 4 თვეში (უკლებლივ ყველა თვეში) მიუღია სახელფასო დანამატი ან პრემია. მიღებული თანხების რაოდენობა კი საოცრად შთამბეჭდავია:

2013 წლის სექტემბერი – 10080 ლარი (სახელფასო დანამატი)

2013 წლის ოქტომბერი – 15120 ლარი (სახელფასო დანამატი)

2013 წლის ნოემბერი – 10080 ლარი (სახელფასო დანამატი) 2013 წლის დეკემბერი – 10080 ლარი (პრემია)

სულ 4 თვეში, მხოლოდ პრემიის და დანამატის სახით მიღებული აქვს 45 360 ლარი. არადა, ცესკოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ხელფასი) 3600 ლარია.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ჩვენებური



დავით ალადაშვილის „ოპუსი 13“

ჩემს მეხსიერებაში ვერ ვიხსენებ ხელოვანს, რომელსაც ისე უყვარდეს რიცხვი „13“ (არა მხოლოდ იმიტომ, რომ 13-ში და თან პარასკევსაა დაბადებული), როგორადაც ჯულიარდის კურსდამთავრებულ პიანისტს დავით (დათუნა) ალადაშვილს, რომლის ბოლოდროინდელი საკონცერტო კარიერა 13-სადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების ერთგვარი მტკიცებულებაა.

როგორც თავად ამბობს, „ცამეტი“ მისი „აკვიატებული ბედნიერი რიცხვია“, ამიტომაც CD ალბომსაც, რომელშიც შუმანის (სიმფონიური ეტიუდები, ოპუსი 13), ბეთჰოვენის (№8 სონატა, ოპუსი 13), შოპენის (ფანტაზია, ოპუსი 13), სკრიაბინის (6 პრელუდია, ოპუსი13), ლისტის (რაფსოდია, ოპუსი13), სხვა კლასიკოსების „№13“ და ახალგაზრდა კომპოზიტორების 13 მინიატიურა შევიდა, მან „ოპუსი 13“ უწოდა. დავითმა თავის ნაცნობ 13 ახალგაზრდა კომპოზიტორს სთხოვა და მათ სპეციალურად შემკვეთისთვის 13 მცირედი კომპოზიცია მართლაც დაწერეს. ალბომი არა სტუდიური, არამედ საკონცერტო ჩანაწერია, რომელიც სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში შედგა. ეს დარბაზი თავად ხმის ჩამწერმა კომპანიამ შეარჩია. პიანისტი ლამის შესვენების გარეშე უკრავდა, ხოლო მასალამ „სიდი“-ზე, ფაქტობრივად, ყოველგვარი მონტაჟის გარეშე გადაინაცვლა.

2014 წლის 13 ივნისს, პარასკევს დავით ალადაშვილმა თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავისი „ოპუსი 13“ დაუკრა. ეს მისი პირველი კონცერტია საქართველოში, მას მერე, რაც მან წელს ჯულიარდში სწავლა დაასრულა. მანამდე კი ჩვენთვის უკვე ნაცნობ ნიუ-იორკულ მუსიკალურ კლუბში „წითელი თევზი“ ((le) Poisson Rouge) 13 აპრილს, საკუთარ დაბადების დღეზე 24 წლის პიანისტმა შოპენის, სკრიაბინის, შუმანის, ლაღიძის და ახალგაზრდა კომპოზიტორების – ჯულის მატონის, იური ბაკერის, იური ბაგუინიას კომპოზიციები დაუკრა. პროგრამის მიხედვით მეცო სოპრანო ანიტა რაჭველიშვილმა ალადაშვილის აკომპონირებით თაქთაქიშვილის „მზეო თიბათვისა“, რახმანინოვის „ნე პოი კრასავიცა, ნე პოი“ იმღერა... სიურპრიზად კი პიანისტის მიერ ბიზეს ჰანგების უეცარი აყღერების გამო მომღერალი ასე ვთქვათ, იუბილარის ხათრით, იძულებული იყო „კარმენის“ პარტიაც შეესრულებინა, მათ შორის, ბისზეც.

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P130413**

სტენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **EWHIP-4/CS/QBS-01**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-არგვეთას მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განახლება და E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის დეტლური საინჟინრო პროექტის მომზადება**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **10,5 თვე**

შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე დაფუძნებული შერჩევა (QBS)**

კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **16 ივნისი, 2014**

შეფასებული კომპანიები:

დასახელება: JV composed of GETINSA Ingenieria S.L. and Paymacotas S.A.U.
ქვეყანა: ესპანეთი
ტექნიკური ქულა: 72.74
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

დასახელება: JV composed of Egis International and Egis Structures and Environment
ქვეყანა: საფრანგეთი
ტექნიკური ქულა: 72.90
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

დასახელება: JV composed of SYSTAS S.A, TTA S.A and OMIKRON KAPPA CONSULTING S.A
ქვეყანა: საბერძნეთი
ტექნიკური ქულა: 74.45
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

დასახელება: JV composed of SPEA Ingegneria Europea S.p.A and IRD Engineering Srl
ქვეყანა: იტალია
ტექნიკური ქულა: 74.64
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის

დასახელება: PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. (PEC)
ქვეყანა: კორეა
ტექნიკური ქულა: 79.01
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,846,900.00 აშშ დოლარი და 3,100,395.00 ლარი (ადგილობრივი გადასახადების გარეშე)

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. (PEC)
მისამართი: 454, Gwanak-daero, Dongan-gu, Anyang-si, Gyeonggi-do, Korea (431-810)
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,846,900.00 აშშ დოლარი და 3,100,395.00 ლარი (ადგილობრივი გადასახადების გარეშე)
ფინანსური წინადადების კორექტირებული ფასი: 1,781,685.00 აშშ დოლარი და 2,922,930.00 ლარი (ადგილობრივი გადასახადების გარეშე)
საკონტრაქტო ღირებულება ადგილობრივი გადასახადები ჩათვლით: 2,102,388.00 აშშ დოალრი და 3,449,057.00 ლარი

Contract Award Notification

Project Name: **Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P130413**

Bid/Contract Reference No: **EWHIP-4/CS/QBS-01**
Scope of Contract: **Update of Feasibility Studies for E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Argveta and Undertaking Detailed Design for E-60 Highway Section from Zemo Osiauri to Chumateleti**
Duration of Contract: **10.5 months**
Selection Method: **QBS - Quality-Based Selection**
Contract Signature Date: **June 16, 2014**

Evaluated Bidder (s):

Name: JV composed of GETINSA Ingenieria S.L. and Paymacotas S.A.U.
Country: Spain
Technical Score: 72.74
Financial Proposal Price at the opening: No.

Name: JV composed of Egis International and Egis Structures and Environment
Country: France
Technical Score: 72.90
Financial Proposal Price at the opening: No.

Name: JV composed of SYSTAS S.A, TTA S.A and OMIKRON KAPPA CONSULTING S.A
Country: Greece
Technical Score: 74.45
Financial Proposal Price at the opening: No.

Name: JV composed of SPEA Ingegneria Europea S.p.A and IRD Engineering Srl
Country: Italy
Technical Score: 74.64
Financial Proposal Price at the opening: No.

Name: PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. (PEC)
Country: Korea
Technical Score :79.01
Financial Proposal Price at the opening: 1,846,900.00 USD and 3,100,395.00 GEL (net of indirect local taxes amount).

Awarded Bidder:

Name: Pyunghwa Engineering Consultants Ltd.

Address: 454, Gwanak-daero, Dongan-gu, Anyang-si, Gyeonggi-do, Korea (431-810)
Financial Proposal Price at the opening: 1,846,900.00 USD and 3,100,395.00 GEL (net of indirect local taxes amount).
Negotiated Financial Proposal Price: 1,781,685.00 USD and 2,922,930.00 GEL (net of indirect local taxes amount).
Contract Price including taxes: 2,102,388.00 USD and 3,449,057.00 GEL.

◎ მუნდიალი – 2014

ამათ გვიმალავდით?!

ამ კითხვის ადრესატი ესპანელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკეა, რომელმაც „ფურია როხას“ საუკეთესო ბომბარდირები დავიდ ვილია და ფერნანდო ტორესი სარბიელზე ავსტრალიელებთან არაფრისმომცემ შეხვედრაში გამოიყვანა და მათაც მეტოქის კარში გატანილი გოლებით გამოხატეს ნდობისათვის მადლიერება დამრიგებლისადმი. მართლაც, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ჰოლანდიელებთან და ჩილელებთან საბედისწერო მატჩებში, პირნეველთა ძირითად შემადგენლობაში დამრტყმელი დუეტისთვის რომ მოენახათ ადგილი.

ასევე რეზერვისტებმა გადაწყვიტეს ჰოლანდიელთა და ჩილელთა ბრძოლის ბედი, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა კაცს ენა ვერ მოგიბრუნდება გამარჯვებულთა მესაჭის ლუი ვან გალის გასაკრიტიკებლად – იგი ხომ სწორედ ახალგაზრდობას აძლევს თამამად თავის გამოჩენის შანსს. ამჯერად ასისტენტებს გარჯა ფერრიმ და დეპაიმ დაუფასეს.

ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება მასპინძელთა შეზღუდულ შეტევითს პოტენციალზე, სადაც მხოლოდ ნეიმარი წარმოადგენს საიმედო დასაყრდენს. იქნებ ფრედის მიერ კამერუნელთა კარში გატანილმა გოლმა გაუხსნას მადა მის დანარჩენ პარტნიორებს.

გიორგი შოთაძე

◎ დილემა

ყატარი თუ ავსტრალია? — ფიფას თავსატეხი

XXII მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 2022 წელს უნდა ჩატარდეს, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაცია „ფიფა“ მასპინძელ ქვეყანას „ეძებს“. ერთ-ერთ სასურველ კანდიდატად კუნძული-ქვეყანა ავსტრალია სახელდება. მას ამ ტიტულში აზიური ყატარი ეცილება და ყველანაირად ცდილობს სასურველი ხმების თავისკენ გადაქაჩვას.

გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ სულ ახლახან გვამცნო, რომ „ფიფას“ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ბინ ჰამამმა 5 მილიონის ქრთამი დაარიგა, რათა ყატარს ხმების საკმარისი რაოდენობა მიეღო. ეს, რა თქმა უნდა, კანონის უკიდურესი დარღვევაა და თუ მუნდიალის მასპინძლობა ყატარს ამის გამო ოფიციალურად ჩამოერთმევა, ავსტრალიას დარჩება სამასპინძლოდ „ბურთი და მოედანი“.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

შენგელიას წარდგენა ბიუროკრატიული პრობლემების გამო გადაიდო

ესპანურმა „ლაბორალ კუჩამ“ თორნიკე შენგელიას ოფიციალური წარდგენა ბიუროკრატიული პრობლემების გამო გადადო. აღნიშნულ ინფორმაციას ვიტორიული კლუბის ვებგვერდი ავრცელებს.

როგორც ირკვევა, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ბასკეთში ორშაბათს უნდა ჩასულიყო და მისი მასმედიის წინაშე წარდგენაც იგეგმებოდა, თუმცა, თავი გარკვეულმა პრობლემებმა იჩინა, რისი დაკონკრეტებისგანაც „ლაბორალ კუჩა“ თავს იკავებს.

ამასთან, კლუბის საიტზე იმედია გამოთქმული, რომ გაურკვევლობა მალე დასრულდება და შენგელიაც 2014-15 წლებისთვის „ლაბორალ კუჩას“ პირველი შენაძენი ოფიციალურად გახდება.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადების პროცესში მყოფი საქართველოს ეროვნული გუნდის პირველ შეკრებას არ ესწრება.

შენგელია ზაზა ფაჩულიას, მანუჩარ მარკოიშვილის, რიკი ჰიკმანის, ნაკრების თავკაცის იგორ კოკოშკოვის და მწვრთნელის ერთ-ერთი ასისტენტის ჯეისონ სტოდტის მსგავსად გუნდს 5 ივლისს სლოვენიურ შეკრებაზე შეუერთდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მძლეოსნობა

მოსკოვს ქართველების არ სჯერა

ცხრა ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი – აი, ის ნადავლი, რომელიც 1999-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა მოსკოვის ღია პირველობაზე მოიხვეჭეს საქართველოს წარმომადგენლებმა და თვით მასპინძლებიც კი გააოცეს – ნამდვილად ვერ ვიჯერებთო. არადა, ამ შეჯიბრებაში რუსეთის, გერმანიის, ბელარუსისა და საქართველოს 14-15 წლის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების (მთავარი მწვრთნელი – დავით ინაშვილი, მწვრთნელი – ბადრი ბადრიძე) სპორტულ ღირსებას რვა გოგო-ბიჭი იცავდა. მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვეს: ნინო წიქვაძემ - ბადროსა (37,32 მ) და ურუოს (46,31) ტყორცნაში, გიორგი კეთილაძემ – შუბის ტყორცნასა (50,21) და ბირთვის კვრაში (15,51), დავით აბესაძემ – 1500 (4.21,68) და 3000 მეტრზე (9.33,47) რბენაში, დავით ლუკავამ – 110 მეტრზე თარჯრბენში (15,53), რომან ბადრიძემ – სიგრძეზე ხტომაში (6,48). მარიამ ჩაკაბერიამ ორი მედალი მოიპოვა თარჯრბენში – ოქრო 300 მეტრზე (46,24), ხოლო ვერცხლი – 100 მეტრზე (15,18); ბადრი ქიმაძე (ბირთვი-15,26) და გიორგი დავითაშვილი (ბადრო-41,65) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. მედლების რაოდენობით ქართველებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

საგულისხმოა, რომ ეს ის ასაკია, რომელმაც გაისად თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს. როგორც ბატონმა დავით ინაშვილმა გვითხრა, რუსებს, უკრაინელებსა და ბელარუსებს ამ ასაკის მძლეოსნებისთვის საერთო ტოპ-ათეულები ჰქონიათ. ლუკავამ

და წიქვაძემ იმ ცხრილში პირველ ადგილებზე მყოფ სპორტსმენებზე უკეთესი, ხოლო ჩაკაბერიამ და ბადრიძემ მეორეადგილოსანთა შედეგები აჩვენეს. ყველაფერი ეს კი იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი გოგო-ბიჭები 2015 წლის ფესტივალზე ევროპელებს სათანადო კონკურენციას გაუწევენ, თუ იმ ღონისძიებამდე დარჩენილ დროში მათ სათანადო დახმარება და ხელშეწყობა ექნებათ. მოსკოვის ღია პირველობაზე გასამგზავრებლად ჭაბუკთა ნაკრები საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააფინანსა.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: წინა რიგში მარცხნიდან – ბადრი ქიმაძე, დათო ლუკავა, დათო აბესაძე, გიორგი კეთილაძე; უკანა რიგში – ბადრი ბადრიძე (მწვრთნელი), რომან ბადრიძე, მარიამ ჩაკაბერია, ნინო წიქვაძე, გიორგი დავითაშვილი, დავით ინაშვილი (ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

◎ ჩოგბურთი

ქვაცაბაიას დუბლი

წინა კვირას თბილისელმა სოფიო ქვაცაბაიამ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ერთბაშად ორი პირველი ადგილი დაიკავა. ერთეულებში ჩვენებურმა ზედიზედ დაამარცხა ანა გრიგორიანი (რუსეთი, 6:3, 6:1), კატი მალიკოვა (უკრაინა, 6:2, 4:6, 6:3), ვლადა ეკშიბაროვა (უზბეკეთი, 6:2, 1:6, 6:3), ტურნირის რეიტინგფავორიტი ანა ვესელინოვიჩი (ჩერნოგორია, 5:7, 6:4, 6:4), ფინალში კი რუს ანასტასია პრიბილოვას აჯობა – 0:6, 6:1, 6:2 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. წყვილებში ქვაცაბაია ჩერნოგორიელ ანა ვესელინოვიჩთან ერთად იბრძოდა მთავარი პრიზისთვის და აქაც მიაღწია მიზანს. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა დაამარცხა რუსეთელების – იულია ბრიზგალოვას და ეკატერინა წიკლაურის (6:3, 7:5), ვარვარა კუზნეცოვას და სოფია ვაინბერგის (6:2, 6:3), ალექსანდრა გრინჩიშინას (ყაზახეთი) და ქსენია შარაფოვას (რუსეთი) ტანდემები - 6:0, 6:4, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ალბინა ხაბიბულინას (უზბეკეთი) და ეკატერინა კლიუევას (ყაზახეთი) სძლიეს – 7:6, 7:6 და პირველი ადგილი დაიკავეს. ქვაცაბაია ასტანაში დარჩა და დღეიდან ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებმება.

გივი გაგუა

სურათზე: სოფიო ქვაცაბაია.

◎ ნანჯინი-2014

7 სახეობაში – 15 სპორტსმენით

ოთხი წლის წინათ სინგაპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით პირველად გაიმართა მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშები. მაშინ საქართველოდან ერთადერთი ბრინჯაოს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში ირაკლი მოსიძემ მოიპოვა. იმ თამაშებზე შემადგენლობაც მოკრძალებული გვყავდა. და აი, წლეულს 16-28 აგვისტოს ჩინეთის 8-მილიონიანი ქალაქი ნანჯინი ახალგაზრდობის მეორე ოლიმპიადას უმასპინძლებს. სოკ-ის მოთხოვნით, თამაშებში მონაწილეთა რაოდენობა ძალიან შეიზღუდა, რამაც ლიცენზიების მოპოვება გააძნელა (მაგალითად, ძიუდოში ერთ ქვეყანას მხოლოდ თითო სპორტსმენი ქალ-ვაჟის წარდგენის უფლება აქვს). ამის მიუხედავად, საქართველომ 7 სახეობაში 12 საგზური დაიმსახურა. ნანჯინში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: მარიამ ჯანაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი (ორივე - ძიუდო), მექი სიმონია, ივერი ჯულაყიძე (ორივე- თავისუფალი ჭიდაობა), მარიამ ძაგნიძე, გოგა მაღლაკელიძე, გიორგი მუჯარიძე, გიორგი ონიანი (ოთხივე – მძლეოსნობა), გიორგი ხარაბაძე (კრივი), აკაკი ვაშაკიძე (ცურვა), თეონა ჯანჯღავა (ბატუტზე ხტომა) და ნიკა შენგელია (ფარიკაობა).

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

მარადონას ქალიშვილი სკანდალში გაეხვა

სავარაუდოდ, ფეხბურთის ლეგენდა დიეგო არმანდო მარადონა წლევანდელ მუნდიალს უგუნებოდ უგულშემატკივრებს.

მიზეზი მისი ქალიშვილი, მსახიობი დალმა მარადონაა, რომლის სექსუალური აქტი სოციალურ ქსელებში გავრცელდა. მართალია, ამ ფაქტს დალმა კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ვიდეოში ასახული ქალი ისე ჰგავს მას, რომ ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს მარადონას ქალიშვილია.

თავად დიეგოს ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია და კითხვასაც ვერავინ უბედავს. სავარაუდოდ, ვიდეო დალმას პარტნიორმა ჩუმად გადაიღო და მანვე გაავრცელა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რა არ ხდება ქვეყანაზე!

სიღარიბე და... კიბო

მსოფლიოში ავტორიტეტული სამედიცინო ჟურნალ „Cancer“-ში გამოქვეყნებული გამოკვლევების შედეგებში ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სიღარიბეს, შესაძლოა, კიბოს განვითარებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. წინა კვლევებში მეცნიერებს ყურადღება ჯანმრთელობის მდგომარეობასა და პირის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე ჰქონდათ გამახვილებული.

დასკვნის თანახმად, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკი გაცილებით მაღალია. გამოკვლევისას ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ონკოლოგიურ დაავადებათა სიხშირე იყო გაანალიზებული, რისთვისაც 2005-09 წლებში კიბოთი დიაგნოსტირებული 2,9 მილიონი კაცი შეარჩიეს. დიაგნოზის დადგენის მომენტისთვის შემოსავლის დონის მიხედვით ყველა შერჩეული პირი ოთხ ჯგუფად დაყვეს.

— ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და კიბოს განვითარებას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არ არსებობს, თუმცა კი გარკვეული კავშირი მაინც არის, — განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა დოქტორმა ფრენსის ბოსკომ.

მთლიანად 39 ტიპის ონკოლოგიურ დაავადებათა შორის სიღარიბესთან ასოცირებული 32 ტიპი იყო, მათ შორის 14 სიღარიბის მაღალი დონით გამორჩეულ, ხოლო 18 — სიღარიბის დაბალი დონის მქონე ზონებში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ კიბოს ისეთი სახეობები, როგორებიცაა სარკომა, კაპოზი, ღვიძლის, სასქესო ორგანოს, საშვილოსნოს ყელისა და საყლაპავის, სიღარიბის მაღალი დონის მქონე ოლქებში უფრო მეტადაა გავრცელებული. ხოლო ფარისებრი ჯირკვლის, საკვერცხეების, მელანობა და არაეპიტელიალური ტიპის კანის კიბოები უფრო მეტად მდიდარ ოლქებში გამოვლინდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ **იმ ონკოლოგიურ დაავადებათა სახეობები, რომლებიც ღარიბ ოლქებშია გავრცელებული, გაცილებით იშვიათად წარმოიშვებოდა და სიკვდილიანობის მიზეზიც უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე მდიდარ ოლქებში გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებები, რომლებიც მართალია, გაცილებით ხშირად კი წარმოიშვებოდა, მაგრამ სიკვდილიანობის მიზეზი იშვიათად ხდებოდა.**

— ვითარებას თუ გავაანალიზებთ, ეს გასაკვირი არც არის: მდიდარი ადამიანები უფრო ხშირად ისვენებენ და მზის აბაზანებსაც იღებენ, ამიტომ მელანობა მათ უფრო ხშირად ეყრებათ. ღარიბები კი უფრო მეტად ეწევიან თამბაქოს და სპირტიან სასმელებსაც ეტანებიან, ამიტომაც უფრო ხშირად საყლაპავისა და ღვიძლის კიბოთი სნეულდებიან, — ამბობს დოქტორი ბოსკო.

მეცნიერები დამატებითი ონკოლოგიური გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებენ, თუმცა კი ამთავითვე უკვე ცნობილია, რომ სიღარიბე — **ონკოლოგიური დაავადების წარმოშობის დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

საქართველოს საინჟინრო აკადემია და აკადემიის არქიტექტურის განყოფილება იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი

თამაზ ჯეირანაშვილი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დედა ეთერი, მეუღლე ნინო, შვილები ოთარ, ბესო, შვილიშვილები ნინო, ბესო, ლუკა კაკულიები, ძმა ჯამბული, რძლები, ძმისწულები, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა

როლანდ კაკულია

პანაშვიდი 26, 27, VI, 16 სთ. გამოსვენება 28 VI, 15 სთ. ვარკეთილის მასივი, IIIა მ/რაიონი, კორპუსი 333, ბინა №1.

რეზო ჭოჭუა და რუსლან რუსია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, მოქალაქე და მეოჯახე, ჭეშმარიტი პატრიოტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის სიტყვით და საქმით მებრძოლი, აფხაზეთიდან დევნილი, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ვაჟკაცი

როლანდ კაკულია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

განცხადება

2014 წლის 30 ივნისს, 14 საათზე, შპს „ელიტა 2“-ის დარბაზში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 43/1) განმეორებით ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება, დღის წესრიგით:

1. კოოპერატივის 2013 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ

მომხსენებელი: მ. ებრალიძე, თანამომხსენებელი: ლ. აბულაძე.

2. სარევიზიო კომისიის ანგარიში კოოპერატივის აუდიტორული შემოწმებისა და კოოპერატივის მიერ 100-პროცენტიანი წილით დაფუძნებული შპს „ბანგინოს“, შპს „ღრმაღელეს“, შპს „ცოდნა 002“-ის და შპს „კოოპტექნიკის“ შემოწმების შედეგების შესახებ

მომხსენებელი: ა. ქუთათელაძე.

3. კოოპერატივის მიერ 100-პროცენტიანი წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ

მომხსენებელი: ლ. ნეფარიძე.

4. კოოპერატივის სახელწოდებაში ცვლილებებისა და წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნ. ხუციშვილი.

5. კოოპერატივის შპს „ბანგინოსა“ და შპს „ღრმაღელესთან“ დაკავშირებით კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის დადგენილებების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: მ. ებრალიძე.

6. განცხადებები:

6.1. დ. ალექსიძის გაცხადების შესახებ;

6.2. მ. ებრალიძის განცხადების შესახებ.

7. არჩევნები:

7.1. კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები;

7.2. კოოპერატივის გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

გამგეობა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ინფორმაცია

თბილისი სუიციდმა მოიცვა

გასული დღე-ღამის განმავლობაში, თბილისსა და თბილისის მიმდებარე დასახლებებში ოთხმა ადამიანმა თვითმკვლელობა სცადა, მათ შორის ერთი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრიდან აცნობეს, გასული დღე-ღამის განმავლობაში, ექიმებს 1 700-მდე გამოძახებაზე გასვლა მოუწიათ, მათ შორის 4 შემთხვევა სუიციდის მცდელობა იყო. კერძოდ, გლდანის მე-7 მიკრორაიონში მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მე-7 სართულიდან 1980 წელს დაბადებული მამაკაცი გადმოხტა, რომლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. საბურთალოს ქუჩაზე, 1990 წელს დაბადებულმა მამაკაცმა სამართლებლით ყელი გადაისერა, რომლის გადარჩენაც მოხერხდა. ასევე 1968 წელს დაბადებულმა მამაკაცმა „დიაზეპამის“ დიდი დოზა მიიღო, ხოლო სოფელ გლდანში 66 წლის ქალმა ხეხილის შესაწამლი შხამქიმიკატი დალია.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ინფორმაციით, სასწრაფო დახმარება გამოძახებებზე ოპერატიულად მივიდა.

სანთელი

კარგი სახელის თან წამყოლელი

თელავის რაიონში, თეთრწყლებთან ახლოს, სოფელ სეროდანში ერთი ჩვეულებრივი მშრომელი ქალი **თინა გოგოჭური** 89 წლის წინათ დაიბადა. ღირსეული გვარის ღირსეული წარმომადგენელი ხევსური ქალბატონი, ოთხი სახელოვანი შვილის ეთერის, ნანულის, გოდერძისა და გიგლას გამზრდელი გახლდათ. საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ სამშობლოს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, სახელმოხვეჭილი პოეტი და დიდბუნებოვანი ადამიანი, უკეთილშობილესი ვაჟკაცი გიგლა ჭინჭარაული გაუზარდა. ხევსური ქალის სიმდიდრე ოდითგან მისი შვილები არიან და ამ ტრადიციას ქალბატონმა თინამაც არ უღალატა, ისევე როგორც მთელი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არ უღალატია ხევსურული ტრადიციებისა და ადათ-წესებისათვის. ერთგულ მეუღლეობას უწევდა მიხეილ ჭინჭარაულს, ახლა უკვე დაქვრივებულ კაცს, დედაბოძად ედგა დიდ ოჯახს. სწორედ მიხეილთან ერთად ვერონა-გომბორში გალია ყმაწვილქალობა და მთელი ცხოვრება.

ოთხმოცდარვა წლისამ, შარშან დატოვა წუთისოფელი და ზეციურ საქართველოს შეუერთდა. ასაკში შესულიც მხნედ იყო და უზადო სიკეთეს ასხივებდა. ამ სიკეთით გაიარა ცხოვრების ორომტრიალი და სწორედ ეს სიკეთე და უანგარობა დაუტოვა საგზლად თავის შთამომავლობას. ალალმართალი ხევსური ქალის ლოცვა ყოველთვის გზას გაუნათებს მის მონაგარს.

წელიწადი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. წაიკითხავენ ამ მოსაგონარს მის მშობლიურ სეროდანში, ვერონა-გომბორში, კიდევ ერთხელ დააფრქვევენ ალალ ცრემლს ოჯახის წევრები და თანასოფლელები, გაიხსენებენ ხევსურ დედას, რომელმაც დიდი ილიას თქმისა არ იყოს — „კარგი სახელი თან წაიყოლა“: ნათელი დაადგეს მის სპეტაკ სულს.

იზა ჯაჭვაძე

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარინე იობიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარინე იობიძე (პირადი №60001015055), მის: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ. №38/43;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზირი (ყოფ. რუსთაველის გამზ.), №38 (160), (ყოფ. გორის ქ. №62) (საკადასტრო კოდი: 03.01.03.132.01.043);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 27707.88 აშშ დოლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური — 1959.50 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 8 ივლისი, 15 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ლევან მარდალეიშვილი (პირადი №60001024627), მის: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ. №38/43;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 8 ივლისის, 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

მცირე ენციკლოპედია

ამასაც ვაგროვებ, ამასაც და კიდევ ამეებსაც...

საფოსტო მარკები, ასანთის კოლოფების ეტიკეტები, ლუდის ბოთლების ხუფები, პატარა ქანდაკებები, ჯაყვები, ღია ბარათები — საგანთა ჩამონათვალი, რომლებსაც უსსოვარი დროიდან ადამიანები აგროვებენ, ჭეშმარიტად უსასრულოა. არადა, მათ შორის ესთეტიკურად ისეთ ამაღლებულთან და საკმაოდ ძვირად ღირებულ გატაცებებთან ერთად (ვთქვათ, ხელოვნების და ძველი იარაღის კოლექციონერობასთან) სრულიად უსარგებლო და, ცოტა არ იყოს, გასაკვირი კოლექციებიც გვხვდება, მაგალითად, გაფუჭებული ტელევიზორები და სანაგვეზე ნაპოვნი ფიცრების ნატეხები... თუმცა კი ამ ბოლო შემთხვევაში ეს არა იმდენად ჰობის, რამდენადაც გარკვეულ ფსიქიკურ აშლილობას უფრო წააგავს.

მედიკოსები უკლებლივ და განურჩევლად ყველაფრის შეგროვების წადილს დაგროვების პათოლოგიურ სინდრომს, ანუ ჰორდინგს უწოდებენ (hoard ინგლისურად მარაგს ნიშნავს). „ჰორდისტები“ თავიანთ საცხოვრისებს ათასნაირი, ხშირად სრულიად უსარგებლო ნივთებით ავსებენ, რომელთა ჩამოთვლას აზრი თუნდაც იმიტომ არა აქვს, რომ ეს, შესაძლოა, ნებისმიერი საგანი იყოს, რომელსაც კაცი ფიზიკურად ასწევს.

არადა, თავდაპირველად ჰორდისტები უმეტესად ისეთ საგნებს ეტანებიან, რომლებიც რაღაცაში მაინც შეიძლება გამოიყენონ. მაგალითად, დამტვრეულ სკამებს — „შევაკეთებ და ახალივით იქნება“, ანდა ძველ ტანსაცმელს —„დავაკერებ და საშინაო საქმის კეთებისას ჩავიცვამ ხოლმე“. თუმცა, ამას, მერე და მერე, როგორც წესი, ძველი გაზეთები, ველოსიპედების ჯაჭვები, თხილამურის ცალი ჯოხი, სხვადასხვა ზომის ფერადი შუშის ბოთლები და ათასი სხვა რამ მოყვება და რაღაცის შეგროვება ამ ხალხის ცხოვრების გამლამაზებელ

შტრიხად იქცევა, მათთვის მთავარია თავად შეგროვების პროცესი და არა ის ნივთები, რომლებსაც აგროვებენ. ამით ისინი კარდინალურად განსხვავდებიან კოლექციონერებისგან, რომლებსაც მხოლოდ ერთი „სამიზნე“ საგანი აქვთ.

უბედურება ისაა, რომ რაც უფრო მეტ ნივთს აგროვებენ „ჰორდისტები“, მით უფრო მეტად ურთულდებათ ცხოვრება, რადგან ბინაში ხშირად ფეხის დასადგმელი ადგილი აღარაა დარჩენილი, რაც ახლობლებთან გამუდმებული უსიამოვნების საბაბი ხდება, რომლებიც „კოლექციონერისგან“ მისი „ნაგვის“ მოცილებას ითხოვენ და ხშირად „პირდაპირ საქმეზე“ გადადიან ხოლმე.

არადა, სპეციალისტების აზრით, **ასეთ გადამჭრელ ზომებზე გადასვლისგან ისინი თავის შეკავებას გვირჩევენ, რადგან „ჰორდიტისთვის“ საყვარელ ნივთებთან განშორება უდიდესი სტრესია. სწორედ ამით განსხვავდება ჰორდინგი შიზოფრენიის, დეპრესიისა და თავის ქალის ტრავმების შედეგებისგან, რომელთა ერთ-ერთი შედეგი სწორედ აღნიშნულის ფსიქიკური აშლილობაა.** ამიტომ საჭიროა, არა „ნაგვის გადაყრით“, არამედ ფსიქიატრთან ან ფსიქოთერაპევტთან მიმართვით დაწყება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნაგავმა მთელი საცხოვრისი აავსო. ხოლო, თუ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამძაფრებულა, სცადეთ ჰორდისტთან „ტკბილად დალაპარაკება“, რისთვისაც აუცილებლად: ა) უნდა მოძებნოთ წონადი არგუმენტები, მაგალითად, ილაპარაკოთ იმაზე, თუ რა საჭიროა ცალი წინდის, ან სკეიტბორდის გორგოლაჭის შენახვა; ბ) შესთავაზეთ ჰორდისტს ალტერნატივა, ვთქვათ, ძველი ტელევიზორები ან დამტვრეული ავეჯი შესაბამის შემკეთებელ სახელოსნოებს ჩააბაროს; გ) ეცადეთ ჰორდისტს გაგებით მიუდგეთ, რადგან ამ სენისგან დაზღვეული არავინაა.

წუთში ტყის ერთი კორომი ქრება

დღესდღეობით ყველასათვის საყვარელი ნუგბარი შოკოლადი ახლო მომავალში, შესაძლოა, იმდენად ძვირადღირებულ პროდუქტად იქცეს, რომ ბევრისთვის ხელმისაწვდომი აღარ იყოს.

ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანის დაუფიქრებელი, ხშირად ბარბაროსული მოქმედების გამო კაკაოს მწარმოებელ ქვეყნებში (განაში, მაროკოში, სხვაგან), რომელიც შოკოლადის საფუძველს წარმოადგენს, ამ კულტურის მოსაყვანად ვარგისი მიწების ფართი კატასტროფული სისწრაფით მცირდება. საქმე ისაა, რომ კაკაოს პლანტაციების გასაშენებლად აუცილებელი ნამიანი ტროპიკული ტყეების არსებობა, რომლებიც დედამიწიდან წუთში 1,5-2 ჰექტარის სისწრაფით ქრებიან.

ტიპ-ტიპ-ტიპ!

ძვეცანაზე უამრავი სასწაული და უცნაური ამბავი რომ ხდება, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეგვიპტეში მომხდარი გამორჩეულთა „ოქროს ფონდშია“ შესატანი.

ერთ-ერთ სოფელში ჭაში წიწილა ჩავარდა, რომლის ამოსაყვანად შიგ 18 წლის ჭაბუკი ჩაძვრა, რომელმაც წყალზე გაჩერება ვერ შეძლო და იხრჩობოდა. ყმაწვილი კაცის ყვირილზე ახლობელ-ნათესავები მოცვივდნენ და მის ამოსაყვანად რიგრიგობით ჩახტნენ ჭაში. შედეგად წიწილის გადარჩენას, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, თან უგემური გამოდგა, ექვსი კაცის სიცოცხლე შეეწირა!

გოჭი-ფარანი

რამდენიმე წლის წინათ ტაივანელმა მეცნიერებმა მეტად უცნაური ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის შედეგად... მანათობელი გოჭები გამოიყვანეს (?!).

დასახული მიზნის მისაღწევად მკვლევარებმა ღორის ემბრიონების დნმ-ჯაჭვში მანათობელი medუზის გენი შეიყვანეს. შედეგად გოჭები მანათობელი არა მარტო გარეგნულად, არამედ შიგნიდანაც გამოვიდნენ, ვინაიდან ანათებდა არა მარტო მათი კანი, არამედ შინაგანი ორგანოებიც ამ უნიკალური ექსპერიმენტის მიზანი სვეტისებრი უჯრედების გადანერგვის შემდგომ მათზე ვიზუალური დაკვირვების შესაძლებლობის მიღება იყო.

„ზღვისფერი გაქვს თვალები“...

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ცისფერი თვალები HERC2 გენში დაახლოებით 6-10 ათასი წლის წინათ წარმოშობილი მუტაციის შედეგია.

გაირკვა, რომ ამ გენის მატარებლებს თვალის ფერად გარსში მელანინის გამომუშავების უნარი დაქვეითებული აქვთ. ამდენად, ქალბატონები სილამაზის ამ დიდებულ სამშვენისს ბანალურ მუტაციას უნდა უმადლოდნენ.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

ინფორმაცია

შეჯიბრი მაღალი ქუსლებით

თბილისში, რიყის პარკში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლებით სირბილში შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც 11 გოგო იღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრის მონაწილეთა ასაკი 18-დან 25 წლამდე იყო. ყველა მათგანის ფეხსაცმელს მინიმუმ 7-სანტიმეტრიანი ქუსლი უნდა ჰქონოდა.

შეჯიბრის გამარჯვებული მოცეკვავე ანი მგელიშვილი გახდა, რომელმაც 50 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა და ფინიშამდე ყველაზე პირველი მივიდა.

გამარჯვებული თურქეთში, ანტალიაში ორკაციანი საგზურით დასაჩუქრდა. მეორე ადგილზე გასულს კი 500 ლარი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილზე გასულს — 300 ლარი.

მაღალ ქუსლებზე შეჯიბრი საქართველოში პირველად ჩატარდა.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

მივიდა ქალი საავადმყოფოში. ხედავს, დერეფანში თეთრხალათიანი მამაკაცი მოდის.

— უკაცრავად, თქვენ გინეკოლოგი ხართ? — ეკითხება.

— არა, მაგრამ შემიძლია, გაგსინჯოთ.

* * *

— რის ყიდვას აპირებ შენი ქმრისთვის?

— ტანსაცმლის, ბრილიანტების...

— ის ხომ მამაკაცია!

— ამიტომ მაინცდამაინც ბურღი და ქლიბები უნდა ვაჩუქო?

* * *

— რატომ არიან სტუდენტთა ბავშვები ნერვიულები?

— იმიტომ, რომ პირველი სამი თვის განმავლობაში ემბრიონი კრუნჩხვით ელის, გაიკეთებს დედა აბორტს თუ არა, მომდევნო სამი თვის მანძილზე ემბრიონი მარჩიელობს, დაქორწინდება თუ არა მამამისი დედამისზე. ბოლო სამი თვის განმავლობაში კი ემბრიონი გამუდმებით იმაზე ფიქრობს, როგორ იცხოვრებენ სამნი ორი სტიპენდიით.

* * *

ოდესის ქუჩაში ბავშვები თამაშობენ. რაბინოვიჩის ბინის აივნიდან ისმის ძახილი:

— მოშქ! სასწრაფოდ მოიხადე პანამა! ძალიან მცხუნვარე მზეა და შეიძლება გაახუნოს!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24